ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს

№86 (1596)

30.VIII.–2.IX, 1997 წელი

ა.წ. 27 აგვისტოს საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესკონფერენციაზე ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ნ.ნათაძემ გააკეთა შემდეგი განცხადება

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება

ჩვენ მიერ დღეს თქვენი მოწვევის მიზანი ის გახლავთ, რომ გაგიზიაროთ ერთი ძალიან მძიმე დასკვნა, მე ეიტყოდი – ტრაგიკული დასკვნა, რომელთანაც მივედით მდგომარეობის მრავალრიცხოვან პარამეტრთა ანალიზის შედეგად და რომლის დამალვის უფლება არა გვაქვს.

იმის გათვალისწინებით, რომ შევარდნაძე არძინბასთან ერთად ხელს აწერს დოკუმენტს, რომელშიც იგნორირებულია არძინბას ხელმძღვანელობით ჩადენილი მასობრივი მკვლელობები, გაუპატიურებები, სახლების დაწვა და სხვა დანაშაულობები ქართველი ერის მიმართ, მათ შორის ის ძალიან მრავალრიცხოვანი დანაშაულობები მკვლელობათა ჩათვლით, რაც ჩადენილია არძინბას ხელქვეითი ე.წ. ოფიციალური ძალების მიერ დაზავების შემდგომ პერიოდში (1992 წ-დან დღემდე) და გრძელდება დღესაც,

და იმის გათვალისწინებით, რომ ამ დოკუმენტით შევარდნაძე იღებს ვალდებულებას არ მიმართოს ძალას აფხაზეთში კანონიერების ანუ საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად.

აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ შიდა ქართლში უკვე ორი წელიწადია მიმდინარეობს სეპარატისტთა წინააღმდეგ ნაბრძოლი ქართველი მოქალაქეების დაპატიმრების, წამების, ყოველი მცირე საბაბის გამო გასამართლებისა და პატიმრობის მისჯის გეგმაზომიერი კამპანია, იმ დროს, როცა საქართველოს წინააღმდეგ ნაბრძოლი ოსი სეპარატისტების განიარაღება არ ხდება არც ე.წ. „სამშვიდობო ძალების“ კონტროლის ქვეშ მყოფ ზონაში, არც მის გარეთ,

მოსალოდნელია, რომ შევარდნაძემ მოინდომოს რეპრესიების ჩატარება ენგურის მარცხენა სანაპიროს მიმდგომ რაიონებში იმ მიზნით, რომ დათრგუნოს პარტიზანული მოძრაობა გალის რაიონში, რომელიც დღეს იქ ქართველი მოსახლეობის სიცოცხლისა და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ერთადერთი დამცველია. არ არის გამორიცხული ე.წ. „სამშვიდობო“ ძალებისათვის ხელშეწყობა პარტიზანთა განადგურების საქმეში. ეს მოქმედება, თუკი იგი ჩადენილ იქნა, დაკვალიფიცირდება მხოლოდ როგორც საქართველოს ინტერესთა ღალატი ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით, და როგორც ხელშეწყობა საქართველოსთვის მებრძოლ მოქალაქეთა მკვლელობისათვის მტრების მიმართ.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის შეიარაღებული ბრძოლა თავისი უფლებამოსილებისათვის არძინბასადმი დაქვემდებარებული შეიარაღებული რაზმებისა და უცხო ქვეყნის შეიარაღებულ მოქალაქეთა წინააღმდეგ არის კანონიერი მოქმედება და არა ტერორიზმი. საქართველოს პარლამენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს დადგენილება „თეთრი ლეგიონის“ მოქმედების იურიდიული და მორალური კვალიფიცირების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თანამონაწილე იქნება ზემოხსენებული დანაშაულისა საქართველოსთვის მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

27.VIII. 97 წ.

იგნორირებულია არძინბას ხელმძღვანელობით ჩადენილი მასობრივი მკვლელობები, გაუპატიურებები, სახლების დაწვა და სხვა დანაშაულობები ქართველი ერის მიმართ

ალექსანდრ ციცაგი

ეშერაში არსებული ლაბორატორია საშიშია

აფხაზეთში, გუდაუთასა და სოხუმს შორის, ქვემო ეშერაში, რუსეთის სამხედრო ნაწილების ტერიტორიაზე, მაღალმგრძნობიარე ტექნიკით აღჭურვილ, მიწისქვეშ არსებულ სპეციალურ სეისმოლოგიურ ლაბორატორიასთან დაკავშირებით, გუშინ საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარემ გიორგი გაჩეჩილაძემ პრეს-კონფერენცია გამართა.

პარტიის ინფორმაციით, რუსეთის ამ სამხედრო ობიექტს ცალკე ბატალიონის სტატუსი გააჩნია და იგი რუსეთის გენ.შტაბის მე-12 სამმართველოს კუთვნილ სამხედრო სეისმოლოგიურ ლაბორატორიას წარმოადგენს. აღნიშნული ლაბორატორია შეისწავლის ბირთვულ იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს ერთ-ერთია იმ ათი ლაბორატორიიდან, რომელიც ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზეა განლაგებული. მათივე ინფორმაციით, ეშერის სამხედრო ლაბორატორიის ტერიტორიაზე, დაახლოებით 80 სართულიანი სახლის სიღრმეზე, მოთავსებულია უნიკალური ურანის შემცველი ელექტრონული აპარატურა, რომელთა დანიშნულებაა ატომური იარაღის გამოცდილების ფიქსაცია და აუცილებლობის შემთხვევაში რუსეთისათვის საინტერესო წერტილში მიწისძერების პროვოცირება.

გ.გაჩეჩილაძის თქმით, დაისვა საკითხი შესაბამისი ორგანიზაციების წინაშე, რათა შეიქმნას საერთაშორისო, კომპეტენტური კომისია, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული რუსეთის საიდუმლო ლაბორატორიის საერთაშორისო ექსპერტიზის ჩასატარებლად, რადგან ობიექტის არსებობა უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო კავკასიის რეგიონისათვის, არამედ თურქეთის, ირანისა და სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებისათვის. (იშრინდა)

სახელმწიფო საზღვარი თვალსა და ხელს შუა იკარგება

„ლარსთან საქართველო-რუსეთის საზღვარმა დაახლოებით 500 მეტრით გადმოიწია“ – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მ.კაკაბაძემ. სახელმწიფო საზღვრის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, დეპარტამენტი უარყოფს ამ ფაქტს და განმარტავს,რომ დაკარგულად მიჩნეული ტერიტორია ნეიტრალურად იქნა გამოცხადებული. „იფრინდა“-სათვის საბაჟო და სასაზღვრო დეპარტამენტების სარწმუნო წყაროებიდან კი, ცნობილი გახდა, რომ დაახლოებით 10 დღის წინ, ლარსთან სახელმწიფო საზღვარმა 2 კმ-ზე მეტი მანძილით გადმოიწია ქვეყნის შიგნით. ადრინდელი წარწერა, სადაც მთავრდებოდა რსფსრ და ფიქსირდებოდა საქსსრ – აღარ არსებობს და იგი არც ახლით შეცვლილა. სამაგიეროდ, აღნიშნული წარწერებიდან დარიალის ხეობაში მიმავალი გზის მონაკვეთი, გზაზე არსებული ორი მცირე ზომის გვირაბი და გვირაბების შემდგომი ტერიტორია, დაახლოებით 1 კმ-ის მანძილზე, რუსი მესაზღვრეების მიერ ნეიტრალურად იქნა გამოცხადებული (ორივე გვირაბი დღესაც „საქგვირაბმშენი“-ს ბალანსზე იმყოფება). ქართველი მესაზღვრეები კი, მხოლოდ ორი მცირე ზომის გვირაბის შემდგომ, 1 კმ-ის დაშორებით დგანან საბაჟო-გამშვებპუნქტთან ახლოს. (იშრინდა)



27 აგვისტოს ქობულეთში გულის შეტევით გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე.

„საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ბატონ გურამის ოჯახს და ყველა მის თაყვანისმცემელს.

ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს...

აფხაზეთიდან დევნილმა უმაღლესმა საბჭოს გუშინ გააერცელა 27 აგვისტოს რიგგარეშე სესიაზე მიღებული დადგენილება „აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისათვის მიმდინარე მუშაობისა და მისგან გამომდინარე ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების შესახებ“.

კერძოდ, უმაღლესი საბჭო ადგენს – „ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და სახელმწიფო მინისტრს: მიიღონ გადამჭრელი ზომები აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგის დამყარებისა და განმტკიცების, საქართველოს იურისდიქციის აღდგენის, დევნილთა და ლტოლვილთა მშობლიურ კერებში უპირობო უსაფრთხო, ორგანიზებული დაბრუნებისა და სხვა საკითხებზე ადრე მიღებული დადგენილებების შესასრულებლად.

განიხილონ და გადაწყვეტონ საკითხი კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ.

ძირითადად, მოწონებულ იქნას აფხაზეთიდან დევნილთა და ლტოლვილთა 1997 წლის 8–9 აგვისტოს თბილისში ჩატარებული ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება და საჭიროდ იქნას მიჩნეული მათი შესრულებისათვის სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს გადაუდებელ ამოცანად იქნას მიჩნეული კონფლიქტის მოგვარების მისაღწევად მუშაობის შემდგომი გააქტიურება დსთ-ს ქვეყნებთან, საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან, ეუთოსთან, გაეროსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

აფხაზეთის დევნილმა სახელისუფლებო სტრუქტურებმა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დახმარებით და მხარდაჭერით უნდა გააგრძელონ მუშაობა დევნილთა და ლტოლვილთა სოციალური, ეკონომიკური, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სასიცოცხლო საკითხების დასარეგულირებლად.

დადგენილება გაეგზავნოს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს და მთავრობას“.

სრულიად დევნილთა მეორე სახალხო ყრილობა

როგორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“-ს წევრმა ბორის კაკუბავამ განაცხადა, 14–15 სექტემბერს, თბილისში ჩატარდება სრულიად დევნილთა მეორე სახალხო ყრილობა, რომელზეც საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოწვეული იქნება დაახლოებით 3000 დელეგატი. (იფრინდა)

დოკუმენტის შინაარსი ჯერ-ჯეროობით გასაიდუმლოებულია

დღეს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ასლან მასხადოვი, რომელიც კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში პირისპირ გამართავს შეხვედრას საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან.

პრეზიდენტ მასხადოვთან ერთად თბილისს ეწვევა ჩეჩნეთის პირველი ვიცე-პრემიერი, ახმედ ზაკაევი, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ამზადებს ამ ვიზიტს.

აღსანიშნავია, რომ მასხადოვის ვიზიტი ჯერ კიდევ 15 აგვისტოს უნდა გამართულიყო, ინფორმირებული წყაროს ცნობით, ორი ქვეყნის პრეზიდენტის საუბრის ძირითადი თემა აფხაზეთის დარეგულირების საკითხი უნდა ყოფილიყო, თუმცა ამავე წყაროს ცნობით, მიუხედავად რუსეთის სამშვიდობო ინიციატივისა, რაც არძინბას თბილისში ჩამოყვანით და ორმხრივი მოლაპარაკებებისა და სამთავრობო დელეგაციების აფხაზეთსა და თბილისში ვიზიტებში გამოვლინდა, ჩეჩნეთის მხარე აპირებს აფხაზეთთან მიმართებაში შევარდნაძეს წარუდგინოს ახალი სამშვიდობო ინიციატივები, რადგან ოფიციალური გროზნო თვლის, რომ კავკასიის პრობლემები თავად კავკასიელმა ხალხმა მოაგვაროს.

გეა-ს გროზნოელი კორესპონდენტის ცნობით, მასხადოვი აგრეთვე, აპირებს საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტი შესთავაზოს საქართველოს პრეზიდენტს. ჩეჩნეთის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობების ასეთ ფორმას, რაც ამ ქვეყნის გარე სამყაროსთან კავშირს ნიშნავს.

გეა-ს კორესპონდენტისვე ცნობით, ხელმოსაწერად მომზადებულია დოკუმენტი, რომლის შინაარსიც ჯერ-ჯერობით გასაიდუმლოებულია, რადგან ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მოაწერება ხელი თუ არა, თუმცა ჩეჩნეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა, ახმედ ზაკაევმა თბილისში უკანასკნელი ვიზიტის დროს განაცხადა, რომ ჩეჩნეთი საქართველოსთან სტრატეგიულ პარტნიორობას აპირებს. (მეა)

„ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა გამორიცხულია საქართველოსთან ურთიერთობის გარეშე“



ძარიველ ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერი აკაკი ასათიანი თვლის, რომ „უკრაინის შემდეგ, ჩეჩნეთი გამოიკვეთა, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი“.

ასათიანის თქმით, „ჩეჩნეთი დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობით, რადგან ჩვენს გარეშე მათი დამოუკიდებლად არსებობა გამორიცხულია“.

„მართალია, ედუარდ შევარდნაძე 3–4 წლის წინ ჩეჩნეთთან ურთიერთობას პროვინციულ პოლიტიკად მიიჩნევდა, მაგრამ ამჟამად ჩეჩნეთის როლს საქართველოს პრეზიდენტიც ითვალისწინებს“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერმა.

„ჩეჩნეთი საქართველოზე ორიენტაციით ათამაშებს კარტს რუსეთის მიმართ. პირადი კონტაქტებით ცდილობს, ჩვენგან მიიღოს ის, რასაც რუსეთისაგან ვერ მიიღებს“, – თქვა ასათიანი. (პრაიმ-ნიუსი)

„საქართველო ჯერ რუსეთის ფილიალია“

საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის“ ერთ-ერთი ლიდერის, ბორის კაკუბავას აზრით, „საქართველოს სჭირდება ურთიერთობა ჩრდილო-კავკასიის სახელმწიფოებთან, მაგრამ ვიდრე ჩვენი ქვეყანა რუსეთის ფილიალია, თბილისში ამ სახელმწიფოების ლიდერების ვიზიტი ბუტაფორიად დარჩება“.

ჩეჩნეთის პრეზიდენტის, ასლან მასხადოვის თბილისში ვიზიტის კომენტარებისას, მან პრაიმ-ნიუსს განუცხადა, „როცა ჩეჩნეთი სისხლისაგან იცლებოდა, საქართველოს პრეზიდენტმა ერთხელაც არ გამოხატა მათდამი მხარდაჭერა. დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის პრეზიდენტს – ასლან მასხადოვს სურს მიაღწიოს რუსეთისაგან კავკასიის განთავისუფლებას“.

„ჩეჩნეთმა დააფიქსირა თავისი პოზიცია აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით – თუ საქართველო-ს არ გაატარებს რუსეთის პოლიტიკას და ნაჩქარევად დამოუკიდებელი იქნება, ჩეჩნეთი ყოველთვის დაუჭერს მას მხარს“, – თქვა კაკუბავამ.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა აფხაზეთის დეფნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით გვაძაბიამ, „მნიშვნელოვანია საქართველოს ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან და მათთან ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება“. გვაძაბიამ არ გამორიცხა, რომ „თბილისში ჩეჩნეთის დელეგაციის ვიზიტის დროს შედგება შეხვედრები აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც“.

ურთიერთობები საერთო ვითარებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს

„საქართველოსა და ჩეჩნეთის ურთიერთობების საკითხი ძალზედ ფრთხილ მიდგომას საჭიროებს“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ.

„საქართველოსა და ჩეჩნეთის ურთიერთობები უნდა განვიხილოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების, აფხაზეთში და, მთლიანად, კავკასიაში შექმნილი ვითარებისდა გათვალისწინებით“, – აღნიშნა ჩიტაიამ.

მისი თქმით, „ჩეჩნეთის პრეზიდენტის, ასლან მასხადოვის თბილისში დღეისთვის დანიშნული ვიზიტის მსვლელობისას, კერძოდ, ნავარაუდევი ეკონომიკური საკითხების განხილვა, მაგრამ არანაირ ხელშეკრულებას ხელი არ მოეწერება, რადგან, იურიდიულად, ჩეჩნეთი რუსეთის ფედერაციის ნაწილია“. (პრაიმ-ნიუსი)

14 ივლისი ლაგოდეხში არ გათენებულა!..

მშვენივრად ვიცი, დღეანდელი მკითხველი, მომეტებულად, ქართველი, ყოველგვარ სენსაციაზეა დამარქაფებული: ვინ სად რამდენ საათს გაძლო ცალ ფეხზე, ვინ სად რამდენ მეტრზე გადააფურთხა, ვინ სად რამდენ შეკერიხა მსუბუქი ავტომანქანა „ტოიოტა“!

მსგავსი სენსაციების მოყვარულთ ეურჩევთ, გაზეთი გვერდზე გადადონ, ჩვენს პუბლიკაციაში სათაურად შერჩეული ფრაზა – „14 ივლისი ლაგოდეხში არ გათენებულა!“ – პირდაპირი მნიშვნელობით, რასაკვირველია, არ უნდა გაიგოთ!..

14 ივლისი, როგორც წლის კალენდარული დღე, ლაგოდეხში კი გათენდა, მაგრამ მთავრობის დანაპირები: 14 ივლისიდან, ენგურჰესის რემონტის გასრულების შედეგად, დენი ყველგან აუცილებლად იქნებაო, მორიგი ბლეფი გამოდგა... მხოლოდ და მხოლოდ ლაგოდეხელთათვის!..

საქართველოს დანარჩენ რაიონებში შესრულდა დანაპირები და მხოლოდ ლაგოდეხი აითვალწუნეს რატომღაც!

ჯერჯერობით, იმის თქმა, რომ ლაგოდეხის რაიონი საქართველოს შემადგენლობაში აღარაა, ნაადრეია! მიუხედავად იმისა, რომ კაბლის დასახლებაში მცხოვრებ მომმე აზერბაიჯანლებს ყველას დაურიგდა 0,5 ჰა მიწის ფართობი (თითოეულ კომლში კი, მოგეხსენებათ, 10–12 სულია!), დღესდღეობით, რაიონში ქართული მოსახლეობა მაინც ჭარბობს. თუმცა, რა იქნება ხვალ, ძნელი საკადრაუდოა!..

ბუნებრივია, მეზობელი ერის წარმომადგენლებს „დემოგრაფიული ვზრიეის“ განხორციელებაში ხელს არავინ უშლის. ჩვენთვის დამახასიათებელი ტოლერანტობა ოდნავადაც არ განელებულა! თუმცაღა, საქენერგოს ადგილობრივი (ალბათ, ადგილობრიეი!) წარმომადგენლები ცდილობენ თურმე ხელი შეუშალონ მათ გამრავლებას: ამათ შუქი დღედაღამ უნდა ჩაეურთოთ, თორემ სიბნელეში სხვა რა საქმე აქვთ, ადრეულად დაწვებიან და საქმეს მიხედაენონ!..

ბატონებო, თუ თქვენ ფიქრობთ, ქართულ მოსახლეობას რომ ბნელაში ვამყოფებთ, ერთიორად გამრავლდებიანო, ცდებით, რადგან გასამრავლებლად ქართველს იმდენად უშუქობა არ აწუხებს, რამდენადაც – უფულობა!

ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე მითქვამს: ლაგოდეხში ორ დღეს გახლდით ინკოგნიტოდ (ამბობენ, ადგილობრივი ხელისუფლება როგორც კი ვინმე „შარიანი“ პროფესიის ან თანამდებობის პირის ჩამოსვლას გაიგებს, დენი დღედაღამ არისო!) და გვარიანადაც ვინანე, რადგან 25 აგვისტოს (23–24 აგვისტო ისედაც შაბათ-კვირა იყო და, როგორც წესი, დენი ერთი წუთითაც არ ჩაურთავთ!) პირველად საღამოს 9 სთ. და 13 წუთიდან იმავე 9სთ. და 33 წუთამდე გაანწკიალდა ნათურა, მეორედ 10სთ. და 23 წუთიდან 10 სთ. და 43 წუთამდე ბუუტაჟადა საცოდავად!

რუსებს აქვთ გონიერი ანდაზა (ალბათ, ნასესხები!) – „დაეერიაი, ნო პრაეერიაი!“.

გთავაზობთ ამ ანდაზის პერიფრაზს, ქართველებზე მორგებულს – „ნუ დაუჯერებ გაზეთში მონაყოლს, მაგრამ შეამოწმე!“

თორემ, მართლა რომ ხალხის ხმას აჰყვე, იმასაც გეტყვიან: თითოეული აზერბაიჯანელი კომლისაგან 300–300 ლარი აკრიფეს და ნახევარ-ნახევარი ჰექტარი ფართის გარდა, შუქიც დღედაღამ უბოძესო!

ჯუმბერ თავზარაშვილი

P.S. შუა სექტემბერში ხელმეორედ მომიწევს ლაგოდეხს წასვლა და დიდ ფიქრში ვარ: ისევ ინკოგნიტოდ ვეწვიო ცოლისძმას, თუ, გამგეობაშიც შევიარო და წვეამდელთა გაწვეის პრობლემებზეც ვესაუბრო ხელმძღვანელობას?

ჯ.თ.

სამხრეთ ოსეთში ემზადებიან

სახელმწიფო მრჩეველი ფატმა პუხაევა ჩაუდგა სათავეში კომისიას, რომელმაც კოორდინაცია უნდა გაუწიოს მზადებას 1990 წლის 20 სექტემბერს თეთოგამოცხადებული, მაგრამ აუღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის 7 წლისთავის აღსანიშნავად.

1990 წელს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გამოიწვია გამსახურდიას მთავრობის ნეგატიური რეაქცია. მოგვიანებით, „დოკუმენტების ომი“ გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში, რომელიც შეწყდა 1992 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც რეგიონში შეიყვანეს რუსეთის სამშვიდობო ძალები.

უახლოეს მომავალში მოსალოდნელია საქართველოს და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის შეხვედრა, რომელზეც სავარაუდოდ, განიხილება ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი.

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს, რესპუბლიკის 7 წლისთავთან დაკავშირებით, დაგეგმილია სამხედრო აღლუმის, საზეიმო დემონსტრაციის, სპორტული შეჯიბრებების, კონცერტების და სხვა ღონისძიებების ჩატარება. (პრაიმ-ნიუსი)

აფხაზთა პრემიერ-მინისტრი აკონტროლებს არძინბას ბრძანებას

აფხაზთა მთავრობის პრემიერ-მინისტრი სერგეი ბაგაფში 28 აგვისტოს გალის რაიონში იმყოფებოდა. მას დავალებული აქვს შეასრულოს არძინბას მიერ ივლისის თვეში გაცემული ბრძანება ზუგდიდის რაიონიდან გალში ნებისმიერი სახის პროდუქციის შეტანის აკრძალვის თაობაზე.

სერგეი ბაგაფშმა მოინახულა გალის შესასვლელთან განლაგებული საბაჟო და ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალის ენგურის ხიდზე არსებული საკონტროლო გამშვები პუნქტი. გალის ადმინისტრაციის შენობაში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა დოლია ბაბენკოვმა.

კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით, მხარეები შეთანხმდნენ რუსი ჯარისკაცების და აფხაზი მილიციელების ერთობლივი მორიგეობის თაობაზე საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე. გადაწყდა, რომ აფხაზური და რუსული მხარეები გაატარებენ ერთობლივ ღონისძიებებს კონტრაბანდის აღსაკვეთად, – იტყობინება აფხაზეთის ტელევიზია. (პრაიმ-ნიუსი)

რუსული ენის სწავლას პირველი კლასიდან დაიწყებენ

როგორც „იფრინდა“-ს კორესპონდენტისათვის სარწმუნო წყაროდან გახდა ცნობილი, გალის რ-ნის აფხაზური ადმინისტრაციის განათლების განყოფილების გამგის აზა აგუმას მითითებით, ახალი სასწავლო წლიდან, გალში და გალის რაიონის საშუალო სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება 1 კლასიდან დაიწყება. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

• რეპლიკა

პრეზიდენტის მოხალისე ადვოკატს

რედაქციისაგან: „საქართველოს“ რედაქციას ბ-ნ ჯალიაშვილის წერილი „ზოგიერთი მოსაზრება ბატონ ნოდარ ნათაძის წერილის გამო“ გადმოსცა საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურიდან ვახტანგ მასხულიამ.

ცნობილია, რომ ბ-ნი ნოდარ ნათაძე კარგა ხანია ავითარებს პრესაში იმ აზრს, რომ შევარდნაძის პოლიტიკა საქართველოს ღალატის პოლიტიკაა: რომ საქართველოს პრეზიდენტი ხელმძღვანელობს არა საქართველოს ინტერესებით, არამედ რუსეთის ინტერესებით, და რომ მისი კურსი არის „საქართველოს ეკონომიკური, სტრატეგიული და მორალური ნგრევის კურსი რუსეთისადმი მისი დაქვემდებარების მიზნით“. ეს აზრი ბევრჯერ მეორდება და მის დასაცავად ავტორს სათანადო არგუმენტები მოაქვს, რომელთა, კ შეგიძლიათ დაეთანხმოთ ან არ დაეთანხმოთ. ბუნებრივია, რომ „საქართველოს“ რედაქციას (რამდენადაც ნ.ნათაძის წერილები უფრო ხშირად სწორედ აქ იბეჭდება) აინტერესებს პირველ ყოვლისა იმათი გამოხმაურება ამ უმძიმეს ბრალდებაზე, ვინც შევარდნაძის უახლოესი თანამებრძოლია, მისი აპარატის თანამშრომელია, მისი თანამოპარტიელია, მისი მთავრობის წევრია და ა.შ. სხვათა აზრიც აინტერესებს, მაგრამ ამ უკანასკნელებისა – მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ღრმაა, დასაბუთებულია, ჭკვიანურია, ახალია ან სხვა რამ ისეთი თვისებით შემკულია, რაც მას მკითხველისთვის საინტერესოს ხდის. ასეთი თვისებები ბ-ნ ჯალიაშვილის წერილს არ აღმოჩნდა და ამიტომ რედაქციამ ბატონ ვახტანგ მასხულიას კითხვით უპასუხა: „თუ ეს წერილი თქვენს აზრს გამოხატავს და, ამდენად, იმას მეტყველებს, რომ თქვენ საპასუხო სხვა არაფერი გაგეთ, მაშინ „საქართველო“ დასტამბავს მას იმის მითითებით, რომ ეს წერილი თქვენგან მოწონებულია. თუ არა – ე.ი. თუ ეს უბრალოდ კერძო პირის წერილია, – მაშინ იგი არაა საკმარისად საინტერესო, რომ ჩვენმა გაზეთმა იგი გამოაქვეყნოს. დასტამბეთ იგი უჭვენოდ და პასუხს მერე ან გაკცემთ, ან არა“. ეს წერილი ამჟამად უკვე დაბეჭდილია „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ჩვენც მის პასუხს ვბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

ბატონ ჯალიაშვილის პასუხად

მე არ ვიცი, როდის მოასწრო ბატონმა ჯალიაშვილმა „პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის“ ხარისხის მიღება, როცა სსრკ-ში, რომელიც მხოლოდ 6 წლის წინ დაიშალა, არათუ პოლიტიკური მეცნიერება, არამედ პოლიტიკური დაწყებული განათლებაც კი არ არსებობდა. იძულებული ვარ ვიფიქრო, რომ მან „პოლიტიკურ მეცნიერებათა“ წარმომადგენლობა ისევე მიიკუთვნა, როგორც ყოფილმა მარჯიშვილის ლექტორებმა საერთოდ („პარტისტორიის“, „დიამატისა“ და „ისტმატის“ მკვლევრებმა), რომელთაც პროფესიულ დაავადებად სუსტგონებინობა ჰქონდათ. ავტორიც, შესაძლოა, ამ ოდესღაც პროგიღგირებულ კასტას ეკუთვნის (ყოველ შემთხვევაში, მისი კალმის ნაღაწი წარკითხვის მიიცდამაინც ღრმა ცოდნაზე არ მეტყველებს). არ შემიძლია დიდი კმაყოფილება არ გამოვთქვა (თუმცა ეს მოგონება სავსებით ბუნებრივი მგონია!), რომ განსაკუთრებულ კომუნისტთა და განახლებულ კომკავშირელ-პიონერთა ბანაკს, რომელნიც ბატონ შევარდნაძის „ოქროს ფონდსა“ და „რკინის გვარდიას“ შეადგენენ, გონების საუფლოში ბატონ ჯ.ჯალიაშვილზე უკეთესი ფალავანი არ აღმოჩენდა!

ცნობილი ნათქვამია, ერთ სულელს ისეთი შეკითხვის დასმა ძალუძს, რომ ათასი ჭკვიანიც ვერ უპასუხებსო. მართალია! იგივე ითქმის არა მხოლოდ შეკითხვების, არამედ კრიტიკული შენიშვნების შესახებაც. ამიტომ წერილის დეტალების განხილვამდე ავტორს ზოგად პასუხს მივართმევ.

ნათაძე წერს, რომ შევარდნაძემ არძინბასთან საუბრით, სულ ცოტა, სამი მნიშვნელოვანი რამ დათმო (ა) ქართველთა სახლებში ჩასახლების მსურველი ბანდიტები და მკვლელები შიშისგან გაათავისუფლა, ბ) არძინბა „აფხაზეთის“ წარმომადგენლად აღიარა, და არა „კონფლიქტის აფხაზური მხარისად“ და გ) რუსეთის როლის ოფიციალური დაუფიქსირებლობით 1992-93 წლების აფხაზეთის ომში აფსუა სეპარატისტებს „ომში გამარჯვებულების“ სტატუსი მიანიჭა), მაგრამ სამაგიეროდ არაფერი მიიღო. ამ დებულებასთან კამათი ნიშნავს ა) ან იმის თქმას, რომ ქართულმა მხარემაც სამაგიეროდ რაღაცა მიიღო, ბ) ან იმის თქმას, რომ შევარდნაძეს ის დათმობები არ გაუკეთებია, გ) ან იმის თქმას, რომ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი ის პუნქტები დათმობა კი არ იყო, არამედ, პირიქით, მოგება. არც ერთს, არც მეორეს, არც მესამეს ჩვენი ნამარჯსისტალი „პოლიტიკათმეცნიერი“ არ ამბობს. მაშასადამე, მისი კამათი კამათი არაა. იგი მხოლოდ ენის უაზრო ლესვაა, ამასთან, – ისეთი ლესვა, რომელსაც სრულებით არ ძალუძს ჩლუნგი საგნის მახვილად ქცევა.

ბ-ნ ჯალიაშვილს მიაჩნია, რომ რთული არაა „გაბათილება“ იმ „ბრალდებებისა და წინადადებებისა“, რომელთაც ნათაძე აყენებს (პარლამენტი` გაემიჯნოს პრეზიდენტის მოქმედებას, მისცეს მას სათანადო კვალიფიკაცია, მოახდინოს პრეზიდენტის ხელმოწერის დეზავუირება, განაცხადოს ბ-ნ ალ. ალიევისადმი, ეროვნული ანგარიშვალდებულ ოფიციალურ პირთა ... ...

ბვნერენ

თუ დემოკრატიაა, ზოგი რამ დემოსსაც ვკითხოთ

დემოკრატიზაციით მიამიტობამოჭარბებულმა მე წინათაც მიმართე ანალოგიური წერილით საქართველოს პარლამენტს, მაგრამ ყურსა ბამბისა!

ეტყობა, იქ ჩვეული „უჩვენოთ ვინ იმღერეთას“ პრინციპით ხელმძღვანელობენ, და ყურადღების ღირსად მხოლოდ თავისი ნათქვამნააზრევი მიაჩნიათ.

არადა, პარლამენტის დარაჯიც რომ შემხმიანებოდა და თუნდაც ვარდენისათვის აკაკის მიერ მიცემული რჩევა–დარიგება მოეცა, ჩაეთვლიდი, რომ დემოკრატიამ ჩვენში პატარა კუს ნაბიჯი გადადგა.

სამწუხაროდ, დღესაც საკამათოა – დაინიშნოს ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელი, თუ აირჩეს და ეს მას შემდეგ, რაც ჩვენ დემოკრატიას შევწირეთ ყველაფერი, რაც გაგვაჩნდა, მისი გულისთვის გაემათხოვრდით და დაეჩაჩანაკდით!

მე მესმის ამ ზემოდან ჩამოშვებული წინადადების ქვეტექსტი, მაგრამ რატომ უნდა იყოს ეს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების ერთადერთი გარანტი?!

„თვითონ პრეზიდენტი ხომ ხალხის არჩეულიაო“, ეერაფერი არგუმენტია, ეს უფრო კონტრარგუმენტია, რადგანაც, თუ კაცს პრეზიდენტი ავარჩევინეთ, რომლის ავკარგიანობის გასარჩევად მას არც საჭირო ინფორმაცია გააჩნია და არც სათანადო განათლება, თავისი ყურის მეზობლის არჩევას ადარ ვენდობით?!

კი, ბატონო, იყოს კი არა, აუცილებელიცაა შერეული პრინციპი, მაგრამ არა პირველკაცის დანიშვნა და მისი თანამენამცეცე მეტაშეების არჩევა, არამედ პირიქით – პირველკაცის პატიოსნად, ნამდვილად ხალხის მიერ არჩევა, რომელიც შემდეგ თვითონ დააკომპლექტებს თავის მუშა–აპარატს.

თუ დემოკრატიაა, თვით დემოსს ეკითხოთ, ვის ანდობს თავის მოგზაურობას, არა შპარგალკებით – გინდა თუ არა, ან ეს აირჩიე, ან ისო, არამედ ამომრჩეველთა რაოდენობაზე ზუსტად დაბეჭდილი, დანომრილი და ბეჭედდასმული ბიულეტენებით, სადაც თვითეული ამომრჩეველი თვითონ ჩაწერს თავის სასურველ კანდიდატურას.

აირჩევა ის, ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

ახალი ველოსიპედია? მერე რა არის ამაში ცუდი? მით უმეტეს, ჩვენი გზების პირობებში?!

აკაკი მუმლაძე,
სოხუმელი პედაგოგი

ლუმპენები და პაუპერები

რომელი ჩვენგანი დათმობდა ბავშვობის ბედნიერ მოგონებებს და გაცვლიდა მათ კოშმარებზე? – არავინ.

როცა რომელიმე ერის შვილი საკუთარ თავს არცერთ ერს აღარ მიაკუთვნებს, არა კოსმოპოლიტის პრეტენზიით, არამედ არასრულფასოვნების კომპლექსის გამო, რა ელის მაშინ იმ ერს, რომლის წიაღშიც ასეთი ადამიანები გაიზარდნენ?

დასავლეთის ქვეყნებსა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ, მიუწვდომელ მწვერვალებს დაუფლებულ ადამიანთა ბიოგრაფიებში ძალიან ხშირად ვხვდებით ასეთ შემთხვევებს: ესა და ეს გამოჩენილი პიროვნება ბავშვობაში მუშაობდა ფუნთუშების გამყიდველად, ღორების მომვლელად, შავ მუშად და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, რბილად რომ ვთქვათ, არაპრესტიჟულ ადგილებზე, მაგრამ ვერსად ამოიკითხავთ, რომ ესა და ეს გამოჩენილი პიროვნება ბავშვობაში მათხოვრობდაო... და სად წავლენ, რას გააკეთებენ 10 წლის შემდეგ ქუჩებში ხელგამოწვდილი ბავშვები, ფეხის ყოველ ნაბიჯზე რომ გვხვდებიან? სახელმწიფო ზრდის იძულებით დამნაშავეთა ფენას, წყალს თვითონ უსხამს იმ ბაობაბს, რომელიც მასვე იმსხვერპლებს. 10 წლის შემდეგ საქართველოს ეყოლება ათასობით არასრულფასოვნების კომპლექსით დაავადებული მოქალაქე, რომელთაც სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დანაშაული ჩაიდინონ, ელემენტარულად, არ ექნებათ. რას გააკეთებს ამ დროს მათი შშობელი და აღმზრდელი სახელმწიფო? – ვისაც ხელს მიაწვდენს, ყვარყვარესავით ციხეში გამოკეტავს და თან სულ ამ ციხის დანგრევის შიშში იქნება.

არადა, რა ოლიმპიური სიმშვიდით ვადევნებთ თვალს ამ სამყაროში ჩვენთან ერთად მცხოვრებ პატარა ადამიანებს, რომლებიც ახლა მხოლოდ მცირეწლოვანების გამო ვერ აანალიზებენ საკუთარ საქციელს, ბედნიერად თვლიან იმ დღეს, როცა „ბევრს იშვნიან“ და ჯერ კიდევ იცინიან უბრალო, ბავშვური სიცილით... რა ელით მათ მომავალში, ვინ იქნებიან ისინი? – სულით დამახინჯებული ადამიანები, რომლებზეც არავინ იზრუნა, არავინ გამოიჩინა მცირეოდენი სითბო და ყურადღებაც კი მათ მიმართ, რომლებიც გაწირეს...

ბევრი იტყვის, რომ ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე ნათელი მონაკვეთი ბავშვობაა. ზოგჯერ მთელი ცხოვრება ისე გაივლის, მასზე ბედნიერი წუთები მოგონებებში აღარ ისახება, ზოგჯერ მხოლოდ ეს რჩება ბედნიერების გასახსენებლად და თქვენ წარმოიდგინეთ სიცოცხლე მათი, ვისაც ესეც კი არ აქვთ გასახსენებლად...

კომპრომისობა, ანუ მცირეწლოვანი ბავშვების განგებ დამახინჯება გარეგნულად, თანამედროვე ადამიანის თვალით, ალბათ, უადრესად ამორალურ საქციელად, მანიაკობად და მიუტევებელ დანაშაულად ჩაითვლება... საინტერესოა, რა შეიძლება ეწოდოს მასზე გაცილებით მძიმე დანაშაულს, როდესაც ბავშვს ფსიქიკას უნგრევ და გარეგნულად ჯანმრთელ სულს უმახინჯებ. ანდა, იქნებ ასეთი ქმედება დანაშაულად სულაც არ აღიქმება, რაკი ამ დროს თითოეულ ინდივიდთან ფიზიკური შეხება არ ხდება?

ჩვენი დღევანდელობა: საერთაშორისო საკითხები, კონტრაქტები, ცხოველთა დაცვის ორგანიზაციები, ეგრეთ წოდებული აქტიური ცხოვრება და ხმა შორიდან, ძალიან შორიდან: „ვინც თუნდაც ერთ ამათგანს შეურაცხყოფს, მე შეურაცხმყოფს“...

* * *

ფსკერზე ბნელოდა, ძალიან ბნელოდა და ისეთი დამაყრუებელი სიჩუმე იყო, ისეთი, ისეთი... შავი ლანდები ხელების ცეცებით ძლივსძლივობით მოძრაობდნენ. გაყინულ ჰაერში სუნთქვა ჭირდა და ბნელოდა, ბნელოდა...

ფსკერზე ძალიან ბნელოდა.

ნინო ჯალაქიშვილი

P.S. ლუმპენი – კონკა, მათხოვარი, მაწანწალა, დამნაშავე, ადამიანი...
პაუპერი – არსებობის ყოველგვარ საშუალებებს მოკლებული, ლატაკი ადამიანი.

● ილია – 160 — ბიბლიოთეკა

„გუთანი, ქართველებო გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი“

ილია და ადგილობრივი თვითმმართველობა

გარდა იმისა, რომ ილია დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო, იგი მძლავრი პოლიტიკური აზროვნების ადამიანიც გახლდათ. მისი ეროვნული მსოფლმხედველობა შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს: საქართველო რომ გადარჩეს და ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს დედამიწაზე, საჭიროა, ერთ ხელში ხმალი გვეჭიროს და მეორეში – გუთანი. ვინ უნდა ატაროს ხმალი? – ხალხის ერთმა ნაწილმა, ეს არის საქართველოს ერთი დედაბოძი. ვინ უნდა იკისროს გუთნის მამოძრავებელი როლი? – ხალხის მეორე ნაწილმა, ეს არის საქართველოს მეორე დედაბოძი. ამ ორ დედაბოძს სახურავი სჭირდება და ეს სახურავი ეროვნული დამოუკიდებლობაა.

ილია ჭავჭავაძის სიკვდილის შემდეგ უდიდესი ქარტეხილები გამოვიარეთ. მისი ეროვნული იდეალები ხელშეუხებლად და მკვიდრად გამოიყურება დღესაც და ასე იქნება, ალბათ, ქვეყნიერების დასასრულამდე.

საუკუნეზე მეტი გაიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ცნობილი ნარკვევი „ცხოვრება და კანონი“, მაგრამ დღესაც, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე, ეს ნაწარმოები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველოს ეკონომიკურ–პოლიტიკური წარმატების სათავეებთან ისევ და ისევ ილიას მძლავრი, ოლიმპიური ზეკაცის ფიგურა ისახება.

ამ ნარკვევში ილიამ განიხილა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხი და ძალზედ მნიშვნელოვანი რეკომენდაციებიც მოგვაწოდა.

ილია აღნიშნავს, რომ ყოველ სახელმწიფოში ორი დიდი მიმდინარეობა არსებობს: ერთი საერთო–სახელმწიფოებრივი და მეორე – საზოგადოებრივი. ამიტომ მთელ სახელმწიფოში, ან თითოეულ მის ნაწილში საჭიროა ორიეზე ზრუნვა.

დღემდე – ამბობს ილია,– ცნობილია მართვის ორგვარი სახეობა. პირველ მათგანში ყველაფერს მთავრობა განაგებს. მართვისათვის მას საკუთარი მოხელეები ჰყავს, რომელთაც თვითონ ნიშნავს, თვითონვე გადააყენებს და ისინი მთავრობის წინაშე არიან პასუხისმგებელნი. ამგვარ მმართველობას ცენტრალიზებული მმართველობა ჰქვია.

მეორე სახის მმართველობის დროს ცენტრალურ მთავრობას ხელთ უჭირია მხოლოდ სახელმწიფოებრივი საჭიროების საქმენი, ხოლო ყოველივე დანარჩენი ადგილობრივი საზოგადოების ხელშია. სახელმწიფოს თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის საზოგადოება ადგილობრივ მოხელეთა საშუალებით განაგებს ადგილობრივ საქმეებს. ამ მოხელეებს ირჩევს იქაური მოსახლეობა და ისინი პასუხისმგებელნი არიან ამ მოსახლეობის წინაშე. ამგვარ მმართველობას თვითმმართველობა ეწოდება. ილია ამტკიცებს, რომ: „ამგვარი მმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა: ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს“.

ილიას შეხედულებით, ისტორია მოწმობს, რომ თვითმმართველობა ხალხის ცხოვრების უკეთესად მოწყობის საქმეში საუკეთესო საშუალებაა. ერთნაირი სიკეთითა და მადლით მოქმედებს, როგორც განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყნებში, ისე გაუნათლებელ და ჩამორჩენილ ხალხში. მიუხედავად ამისა, – ამბობს ილია – თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებას, რადგან ჭონიათ საშიშიაო საზოგადოებისათვის. მსგავსი უფლებები რომ მისცე ხალხს, ქვეყანაში აურზაური და ანარქია გაბატონდებაო. ამის საწინააღმდეგოდ ილიას ასეთი მაგალითი მოჰყავს: როცა პრუსიამ საფრანგეთს წაართვა ელზასი და ლოტარინგია, ბისმარკი მოითხოვდა ამ პროვინციებისთვის თვითმმართველობის გაძლიერებას, რადგან მისი აზრით ადგილობრივ მცხოვრებთაგან არჩეული მოხელენი გერმანიისათვის არავითარ საშიროებას არ წარმოადგენდნენ, მაგრამ გერმანელებისაგან დანიშნული მმართველი უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ილია ასეთ კომენტარს უკეთებს ამ ფაქტს: „თუ იმისთანა კაცი, როგორც ბისმარკი, რომელიც თავისუფლების დიდი მომხრე მაინცდამაინც არ არის, ისე იღვწოდა თვითმმართველობისათვის მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ, თუ ამისთანა რკინის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკი, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას, თუ არ თვითმმართველობის მინიჭებითა, სხვას რალა ეთქმის“.

ილია აღნიშნავს, რომ ყოველი სახელმწიფო, თუნდაც ერთი ეროვნების ხალხით იყოს დასახლებული, მაინც ადგილობრივი სხვადასხვაობის გამო, ერთმანეთისაგან ძალზედ განსხვავებული კუთხეებისაგან შედგება. მათ საკუთარი ჭირი და ლხინი აქვთ. ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირი დანიშნულებაა, რომ ყოველ ქვეშევრდომს სატკივარი გაუგოს და დაეხმაროს. ამისათვის საჭიროა, რომ მთავრობამ ზუსტად იცოდეს ყოველი კუთხის ვითარება და ავკარგიანობა. ცხადია, რომ მან ამისათვის უნდა იყოლიოს ან საკუთარი მოხელეები, ან ეს მოხელეობა უნდა ჩააბაროს ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ ამორჩეულ პირებს. ილიას მიაჩნია, რომ პირველმა საშუალებამ ვერსად ვერ გაამართლა, რადგან სხვისი ხელით საქმის კეთება უიმედო საქმეა. ეს ყველგან სცნეს და ეს საშუალება თითქმის ყველგან უარყვეს. სულ სხვაა, როცა ხელისუფლებას თავის მეთვალყურედ, მოხელედ და ადგილობრივ საქმეთა გამგებლად თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული ადგილობრივი მაცხოვრებლები ჰყავს. მათ უკეთ იციან თავიანთი საჭიროება, უკეთ იციან საკუთარი თავის მოვლა.

აქედან ცხადია, – ამბობს ილია – სად უნდა იყოს საზღვარი მთავრობასა და თვითმმართველობას შორის. ცენტრალური ხელისუფლება მზრუნველია საყოველთაო საქმეებისა, ეი. ისეთი საქმეებისა, რომელნიც ყველა ქვეშევრდომს ერთნაირად შეეხება. ასეთი საქმეებია: საყოველთაო კანონმდებლობის წარმოება, საყოველთაო ფინანსთა მოძრაობა და საყოველთაო მხედრობა. ამ საქმეებში თვითმმართველობას ხმა არა აქვს. იგი ემორჩილება ყოველივე იმას, რაც ცენტრალური ხელისუფლებისაგან არის დაწესებული.

მაშასადამე, თვითმმართველობა ერთდროულად ადგილობრივი საზოგადოების ორგანოა მთავრობის წინაშე და მთავრობის ორგანოა ადგილობრივი საზოგადოების წინაშე.

დღეს, როცა ქართულ სახელმწიფოში რეალურად დგება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის მიღების საკითხი, საოცარია, მაგრამ თვითმმართველობის მოწინააღმდეგენი ზუსტად იმავე არგუმენტებს იშველიებენ, როგორც ამ ასი წლის წინათ. ჩნდება საშიშროება, რომ რეალური თვითმმართველობის ნაცვლად ხელში შეეჭრჩეს რალაც სუროგატი, რაც ილიას გამოთქმით, იქნება მხოლოდ სახელი და არა სახრავი, და მაშასადამე ყოვლად გამოუსადეგარი და მავნე რამ. პროგრესის ნაცვლად გვექნება უკან სვლა და უკეთეს შემთხვევაში დაიკარგება ძვირფასი დრო. ამიტომ, საქართველოს პარლამენტმა უნდა უკუაგდოს ველოსიპედის გამოგონების იდეა, რადგან თვითმმართველობა შეიძლება არსებობდეს, ან არ არსებობდეს. საშუალო გზა არ არსებობს.

„გუთანი, ქართველებო გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის დამიჯერეთ. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, ნათქვამია. მყობადი იმისია, ვინც მიწაზედ ფეხგადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მფარველობის ქვეშ...“ ამინ!

ოთარ ზედელაშვილი

რატომ ბორგავს მეტისი?

ესა თუ ის ინდივიდი, ხვდება რა მოცემულ გარემოში, ერთდროულად ვითარდება სხვადასხვა მიმართულებით. შედარებით ადრე ვითარდება უშუალო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის გამიზნული ქცევის მექანიზმები. შემდგომ ადგილი აქვს შემეცნების შესაძლებლობების, სოციალური ურთიერთობისთვის საჭირო ქცევის მარეგულირებელი უნარების განვითარებას.

პიროვნების სოციალური მომწიფება ნიშნავს, რომ მას შეთვისებული აქვს თავისი სოციალური დანიშნულება, პასუხისმგებლობის გრძნობა ოჯახისა და საზოგადოების წინაშე.

პიროვნების გამოვლენა – ეს არის აზროვნება და ნებელობა, შემეცნება და გადაწყვეტილების მიღების უნარი (აქტი). ლოტცს ორივე წარმოდგენილი აქვს, როგორც ადამიანის მობრუნება საკუთარი თავისკენ. რადგან ადამიანის პიროვნება რეალიზაციას საჭიროებს, მან უნდა ნახოს თავისი თავი, გაიგოს, რა არის და ვინ არის იგი.

ლოტცის მიხედვით, ადამიანი ისეთი ცხოველია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, საბოლოოდ დადგენილი. ასეთი მდგომარეობა მეცნიერს მიაჩნია ადამიანის უპირატესობად, რადგან მას რჩება შესაძლებლობა „იყოს სხვა და სხვა“.

პიროვნებას აქვს გონი, რომელსაც უკუმიბრუნების უნარი ახასიათებს, ეს კი ნიშნავს იმის ხილვას, რაც მისსავე სიღრმეშია.

ლოტცი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ცალმხრივობას, როცა ადამიანს მხოლოდ „მე“ ახსოვს, ან „მეს“ ივიწყებს და მთელ ენერგიას „შენს“ ახმარს.

საკუთარ „მეში“ ჩაფლული ადამიანი მხოლოდ მონოლოგს აწარმოებს, მისი ნათქვამი პასუხს არ ელის. მას არავინ უყვარს და არც არავის უყვარს იგი: ის ჩაკეტილია თავის თავში და შენთან მოსასვლელი ყველა ხიდი მოშლილი აქვს. რადგან ადამიანის არსი ყოფიერებასთან კავშირშია, მასთან კავშირის გაწყვეტას მისთვის „მეს“ აბსოლუტიზაცია კი არა, მისი დაღუპვა ემუქრება. ადამიანის განზრახვა, იყოს მხოლოდ თავისთან, იძლევა საწინააღმდეგო შედეგს: მე ავტონომიური არსებად კი არ ხდება, არამედ იშლება და საბოლოოდ ქრება.

პიროვნების სრულყოფა, დასრულებული პიროვნება იგივეა, რაც ადამიანის სრული მიბრუნება თავის თავთან, იმის რეალური დანახვა, რაც მისთვის უბოძებია ბუნებას.

ბუნებრივი მდგომარეობა მონტენს მიაჩნია ყველაზე სამართლიანად და მოგებიანად. მისი აზრით, გლეხები პატიოსანი ხალხია, ისევე, როგორც ფართო ნატურის ფილოსოფოსები, მაგრამ მეტისები, რომელთაც უბულვაბელყვეს პირველდაწყებითი მეცნიერებები და ვერ მიაღწიეს მეორეს – უმაღლეს მდგომარეობას, საშიშია, ბრიყვები და მავნენი არიან; სწორედ მათ შეაქვთ სამყაროში შფოთი“.

მონტენი იყო პირველი, რომელმაც ხმამაღლა გააფრთხილა მსოფლიო: ერიდეთ და აიცდინეთ შფოთის ამტეხთა მომრავლება საზოგადოებაშო. მაგრამ გავიდა ოთხასი წელა მეცნიერის ძირითადი ნაშრომის „ცდების“ გამოქვეყნებიდან და დღემდე არავინ დაფიქრებულა, თუ როგორ, რა გზით იქნას აცილებული შფოთის შემტანნი საზოგადოებაში.

რატომ ბორგავს მეტისი?

იგი პატივმოყვარეობის სენითაა შეყრობილი, ამიტომ გლეხად დარჩენა არ სურს, ეთაკილება, მაღალი დონის მისაღწევად ბუნებისაგან არ მიუღია საჩუქარი. დიადმა ბუნებამ მას იმდენი უწყალობა, რაც კარგი გლეხის ჩამოსაყალიბებლადაა საკმარისი. ის პროტესტს უცხადებს მას ამ „უსამართლობისთვის“, რაც იმაში გამოიხატება, რომ დგება განვითარებისთვის შეუსაბამო, ყალბი პროექტი, რომელმაც განვითარება კი არა, დამახინჯება გამოიწვია ინდივიდისა.

ის პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდა იმის გამო, რომ მან არ ისურვა მიბრუნება საკუთარი თავისკენ. მას, სხვად, – უკეთესად ყოფნა მოუნდა.

ალია თვლიდა, რომ საზოგადოების სიკეთისა და წინსვლისათვის აუცილებელია მის წევრთა საკუთარი თავის პირუთვნელ მსაჯულად გახდომა, რადგან თავის თავის ჭეშმარიტ მსაჯულს სხვისი განსჯაც შეუძლია.

საზოგადოების ღირსეულ წევრად, ალია, რა თქმა უნდა, პიროვნებას თვლის, მაგრამ ისიც არ ავიწყდება, თუ რა ტანჯვას და ვაი-უაგლახს გამოიგლის ახალი აზრის მქადაგებელი, ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩაგონებს თავის რწმენას.

ალია მოკლეს მეტისებმა. მისი ქადაგება მიუღებელი იყო მათთვის. ალია ვერ იგუეს სოციალ-დემოკრატებმა. დამარცხდნენ ალიას მიმდევრები – ეროვნულ-დემოკრატები მის მოწინააღმდეგესთან შერკინებაში, პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა მათი გამარჯვება. მათ არ შეეძლოთ მართვა ქვეყნისა, ამიტომაც უფსკრულისკენ იწყეს სწრაფი ტემპით სვლა. ჟორდანიას სასარგებლოდ ისლა შეიძლება ითქვას, რომ მას არ დაუშალავს ხალხისთვის მისი მთავრობის უნიათობა მართვის საკითხებში. ხალხის დაბრმავების, გადაბირების ამოცანას კი ბრწყინვალედ გაართვეს თავი. დადასტურდა, რომ მრავალპარტიული არჩევნები იმ საზოგადოებაში, სადაც მეტისები მძლავრობენ, სასურველ შედეგს ვერ მოიტანს.

ცნობილია, რომ ბევრი სუსტი მოდგმა გადაგვარდა, მეოცე საუკუნემდე ვერ მოაღწია. უფრო მეტმა განვითარების გზით იარა და მაღალ დონესაც მიაღწია.

საქართველოს ისტორიას ამშვენებს ოქროს საუკუნე-განვითარების მაღალი დონე იმდროინდელ მსოფლიოში. მეთხუთმეტე საუკუნიდან მტკიცე აღმასვლას ადგილი არ ჰქონია. არ ჩანდა ნამდვილი ძლიერი პიროვნება ქვეყნის სათავეში; ისეთი კაცი, რომელიც გასაჭანს არ მისცემდა მეტისთა თარეშს პასუხსაგებ პოსტებზე. თვით პირველი კაცი-მონარქი არ შეესაბამებოდა იმ დონეს, რაც აუცილებელი იყო ქვეყნის მართვისათვის. ამიტომაც დაადგა ქართველი ერი გაჭრობის გზას. თუ მეთორმეტე საუკუნეში ქართველთა რაოდენობა ხუთ მილიონს აღწევდა, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს მოსახლეობის რიცხვი 675 ათასამდე შემცირდა.

ისტორიის არც ერთ მონაკვეთში ყოფილა უფრო ხელსაყრელი მომენტი მეტისთა მომრავლებისათვის, როგორც ამჟამად, მეოცე საუკუნის მიწურულს.

ადამიანი, რომელიც რაიმე კონკრეტული საქმისათვის არაა მზად, არ აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა – მეტისია და არა პიროვნება. მეტისისათვის უცხოა სოციალური დანიშნულების შეგრძნება, ამიტომ ის ადგას თავის გატანის პოლიტიკას. უპიროვნებო ინდივიდთა მომრავლება – ერის გაჭრობის საწინდარია.

საგანგაშო პირობები უკუროცესის დაწყებას მოითხოვს, რაც სხვა არაფერია, თუ არა სამთა კაშირი: მისაბაძს მივბაძოთ, დასაგმობი დავგმოთ, გონიერებას დავეყრდნოთ. მეტისი სხვა არაფერია, თუ არა პატივმოყვარეობის გამო გზას აცდენილი კაცი. ძლიერი, გონიერი ხელისუფლება გასაჭანს არ მისცემს მეტისთა მომრავლებას, მათ თარეშს მართვის მაღალ ეშელონებში.

თამარ კონჯარია

ეი, მანდ, დაფიქრდით და გეშინოდეთ!

საფრანგეთი ტრადიციების ქვეყანაა. მას უკვე ჰყავს საკუთარი ჟან ვალჟანი, რომელსაც ერთი ციცქნა პურის ქურდობისთვის კატორღაში უკრეს თავი. ჟან ვალჟანს დამშეული დისშვილების დაპურება სურდა... საკუთნის ბოლოა და დეკორაციები იცვლება: დღეს სუპერმარკეტების მფლობელები და პროკურორები ერთხმად აცხადებენ, რომ ქალი, რომელმაც საკუთარი ბავშვებისთვის ერთი ნაჭერი ხორცი აწაპნა დახლიდან, სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. პირველი ინსტანციის მოსამართლემ ბრალდებული გაამართლა, რადგანაც მის ქმედებას „იძულებითი აქტის“ კვალიფიკაცია მისცა. მაგრამ, შეუძლია კი სამართალს დაუსჯელად დატოვოს მსგავსი გამოხდომები, რომლებიც „საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების“ წინააღმდეგაა, ნუ იტყვით და, მიმართული?! მაშ, მოდით და ნება მივცეთ ყველა უპოვარსა და შეჭირვებულს, იქურდოს მაღაზიებში? შვილების რჩენის თავი თუ არ გაქვს, სუპერმარკეტს მიაკითხე და რაიმე საჭირო ნივთი ამას არ დაუშვებს! საერთო კეთილდღეობის ატმოსფეროში დამნაშავენი არ მრავლდებიან! არა და, პროკურორსა და მოსამართლესაც ხომ სურს საკუთარი წილი, მათაც ხომ ჰყავთ შვილები. ჰოდა, დახლზე ხელის მოფათურე „სამართლისდამცავის“ წარმოდგენა ცოტა ჭირს! და თუ ასეა, დე ისე იყოს, როგორც არის. პროკურორს პროკურორისა, ღარიბ-ლატაკს კი „ბუბლიკის შუაგული“.

მხოლოდ ეს ერთი გვსურს დავფიქრთოთ: ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ბაზრის მათხოვარი ან მაღაზიის ქურდი სიხარულით მათხოვრობს ან სიამოვნებით ქურდობს– ეი, მანდ, მაღლა, სუპერმარკეტების კლიენტებო, და კიდევ უფრო ზევით, დაფიქრდით და გეშინოდეთ!!!

P.S. ტრადიციების ერთგულება ქართველებს არვისგან გვესწავლება. ფრანგებს „საბრალონი“ აქვთ, ქართველებს – „სახრჩობელაზე“.

ფრანგულიდან გადმოაქართულა
გ.ეკიზაშვილმა

„საკუთარი თავის ზედმეტმა რწმენამ ცუდი სამსახური გამიწია“

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მიხეილ გორბაჩოვი პლანეტის პოლიტიკურ ცისკიდურზე ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი გახდა. იგი უყვარდათ და ვერ იტანდნენ, პატივს სცემდნენ და სძულდათ. გულგრილს იგი არავის სტოვებდა. მისი თაყვანისმცემელთა ბანაკი ხან იზრდებოდა, ხან ხელახლა ივსებოდა.

ახლა? ახლა რა ხდება? ვნებათა დაცხრომის კვალდაკვალ მისი გაუბედავი მოქმედებების გამო გამოწვეული წყენა თანდათან ქრება, ხოლო სიმპათიები კი რჩება.

– მიხეილ სერგეის ძვ, თავის დროზე თქვენ შესძლოთ უდიდესი ქვეყნის მოსახლეობის გამოღვიძება და მათი აყოლიება. ასეთი კლასის ლიდერები, როგორც წესი, შემთხვევითი ხალხი არ არიან. ზოგი მათ ღვთის მიერ არჩეულად თვლის. ხომ მართალია, რომ ყველას არ შეუძლია ასეთი ენერგიული ცხოვრება?

– უდავოდ. მე ბევრი რამ ბუნებამ მომცა. ბავშვობის დროიდან მოყოლებული, ყოველთვის პირველობისაკენ მივისწრაფოდი და ამის გამო ხშირად მხვდებოდა კიდეც. მაგრამ განა როდისმე ვიფიქრებდი, რომ ბედი ასე მზაკვრულად გამომიყენებდა! მაშინდან კი, როდესაც გარდაცვალა ჩერნენკო და გრიშინმა დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ (რაც მაშინ გენსეკის თანამდებობას ნიშნავდა) მე დამასახელა, რაღაცამ შემაკავა, უარი უნდა მეთქვა, ვთვლიდი, რომ დრო ჯერ არ იყო დამდგარი. მაგრამ მაინც ასე გამოვიდა. მე ვიგრძენი, რომ უდიდესი გარდაქმნების წინაშე ვიდექით – ეს უცილობლად მოხდებოდა, ამიტომ არ მსურდა ხელისუფლების სათავეში რაღაც ინტრიგების შედეგად მოხვედრილიყავი.

– 1991 წლის აგვისტოში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რას გააკეთებდით ხელახლად?

– მე მრავალჯერ მიფიქრია ამის შესახებ. და მივხვდი, რომ პოლიტიკური შეცდომა დავუშვი. როგორც ეტყობა, საკუთარი თავის ზედმეტმა რწმენამ ცუდი სამსახური გამიწია. შეთანხმებაზე ხელისმოწერის წინა პერიოდში შეებულებაში მოვინდომე წასვლა, ჩემი არყოფნით ბოროტად ისარგებლეს.

– ადრეც იყო ლაპარაკი და ახლანს ბოლოდინმაც გაიმეორა, რომ პუტჩის მთავარი რეჟისორი თქვენ იყავით. თქვენი აშკარა თუ ფარული თანხმობის გარეშე ისინი ამგვარ ნაბიჯს ვერ გადადგამდნენ.

– ერთი მითხარით, როგორ უნდა ვყოფილიყავი პუტჩის რეჟისორი, როდესაც ეს ყველაფერი დემოკრატიის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული? მე სულაც არ ვაირებ იმის თქმას, რომ ისინი არ იყვნენ პატრიოტები, რომ მათთვის სულერთი იყო სახეობა კავშირის ბედი. მაგრამ მათთვის იმ მომენტში მაინც მთავარი საკუთარი თავის გადარჩენა იყო. ჯერ კიდევ რსფსრ უმაღლესი სახეობის ივნისის სესიაზე, დახურულ სხდომაზე, იაზოვმა, კრუჩკოვმა და პუგომ დასვეს საკითხი ყველაფერი ძირფესვიანად შეგვეცვალა. ფოროსში ისინი მთხოვდნენ „მიხეილ სერგეის ძვ, გამოაცხადეთ საგანგებო მდგომარეობა!“ – ეს პირველი წინადადება იყო. „ვადაეცით უფლებამოსილება იანაევს“ – ეს მეორე წინადადება. და მესამე, ვარენკოვისეული: „ვადადექით!“. მე რომ მათთვის მხარი დამეჭირა, მაშინ გამოდიოდა, რომ ეს პრეზიდენტის პოზიციას ეთანხმებოდა და კანონიერ ძალას იძენდა. მე მათ ვუთხარი: „მოვიწვიოთ ყრილობა. თქვენ თქვენი აზრი თქვით, მე – ჩემსას, თუ თქვენ დაგიჭერენ მხარს, თქვენებურად გავაკეთოთ. მაგრამ არა მგონია, რომ ასე მოხდეს“. ასე რომ, ჯერ კიდევ პუტჩის დაწყებამდე გახდნენ ისინი დამნაშავენი.

მაინც რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი? საქმე ის არის, რომ კრუჩკოვს ჰქონდა ჩანაწერი, სადაც დაფიქსირებული იყო ჩემი საუბარი ელცინთან და ნაზარბაევთან, სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შემდეგ ახალი არჩევნების ჩატარების თაობაზე. რომ არ უნდა მომეხსნა ჩემი კანდიდატურა, რომ ელცინი რუსეთს მიხედავდა, ხოლო ნაზარბაევს პრემიერ-მინისტრის პოსტს ვპირდებოდით. გადაწყვეტილი გვქონდა თავდაცვის მინისტრისა და სხვა ძალი თაობის ხელმძღვანელთა შეცვლა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან შეთანხმებით. ყოველივე ამან მომავალი პუტჩისტების პირადი ინტერესები წამოსწია წინა პლანზე. მათ უკვე იცოდნენ თავიანთი პერსპექტივების შესახებ...

– უკან რომ მივიხედოთ, რომელ სიტუაციას შეცვლიდით?

– გულახდილად გეტყვით, მრავალი ტაქტიკური შეცდომა იყო დაშვებული. უნდა გვყოფნოდა გამბედაობა და შეგვემცირებინა სამხედრო ხარჯები. ამის ნაცვლად მივვეცი ყურადღება ბაზრისათვის. რატომ არ მივეცით შანსი საშუალო ბიზნესს? ამ შემთხვევაში ჩვენ სიტუაციის კონტროლირება შეგვეძლებოდა. ხალხმა კი ის დაინახა, რომ გორბაჩოვს არაფერი გამოსდის, იქნებ ელცინი სჯობს? ის, ხომ ხედავთ, მკაცრია, მომთხოვნი, ივი გვპირდება... ეს პირველი შეცდომა იყო.

მეორე. 1987 წელს ჩვენ ჩავატარეთ სერიოზული ეკონომიური პლენუმი, მაგრამ ტექნოკრატებისაგან შემდგარმა მთავრობამ მისი შედეგები არ მიიღო. ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვს ჩემი მხარდაჭერა სჭირდებოდა. მე შემეძლო ჩემი მდგომარეობის გამოყენების ხარჯზე გავლენა მოვახდინა მთავრობის გადაწყვეტილებაზე. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია, ვერავის ვერ დავბრალებ.

– არადა, თავიდან საკმარისი იყო ერთი საკითხის გადაწყვეტა. რიგებმა, საქონლის ქებნამ უიმედო მდგომარეობაში ჩააგდო ხალხი. მაღაზიები დაცარიელდა. ადამიანები მთელ ძალას იმაზე ხარჯავდნენ, რომ საკვები და ჩასაცმელი ეშოვნათ, წამალი და პირველი მოთხოვნილების სხვა საქონელი. ეს სახალხო დრამა იყო!

– დიახ! მთელი ხალხი რიგში იდგა. ისინი ამბობდნენ, რომ გორბაჩოვს არაფერი გამოუვიდა. და, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მარცხი პერესტროიკამ განიცადა სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების გაჭიანურების გამო. ბურბულისმა და შახრაიმ ერთმანეთს ბელოვეჟის წლისთავზე უთხრეს: „ჰო! გორბაჩოვის არამდგრადი კავშირი სწორედ ის იყო, რაც საჭირო იყო“.

– მაშინ, 1990 წელს, შეგეძლოთ თუ არა ახლანდელი ცხოვრების წარმოდგენა: ერთი მხრივ, უძვირფასესი ალარტამენტები, ხოლო მეორე მხრივ, ყოველდღე მკვლელობები, გაჭირვება. ერთი მხრივ, დახახჩრებული ჯარისკაცები, და მეორე მხრივ, ახალი რუსები უცხოური მარკის ავტომობილებში: იქნებ ეს ყველაფერი აუცილებლად გახავლელია, რათა შემდეგ ცხოვრების დონე გაწონასწორდეს?

– ამ შეკითხვით თქვენ უფრო მეტ გულახდილობის ხურვილს იწვევთ ჩემში. მე უკიდურეს ოპოზიციაში ვიმყოფები ამ რეჟიმთან, რეფორმების იმ სტრატეგიასთან, რომელით თავს მოახვიეს რუსეთს 1992 წლიდან.

რა თქმა უნდა, სახეობა კავშირის დაშლა არის ამის პირველი მიზეზი, ხოლო მეორე მიზეზია, რომ ბორის ელცინს ძალიან უყვარს გმირის როლში ყოფნა, ვაჟკაცი – დობრინია ნიკიტიჩის მსგავსად. 1992 წლის იანვარში მან რუსეთის მოსახლეობას მოუწოდა, მოეთმინათ ნოემბრამდე. ივივე გაიმეორა მან უმაღლესი სახეობის სესიაზე, რომელმაც გადაულოცა ყველა უფლებამოსილება. მადლობა ღმერთს, გაიფიქრა ხალხმა, ერთი კაცი მაინც გამოჩნდა, რომელიც გვიშველის. იმ დროს მან ისიც თქვა, რომ თუ ეს ასე არ იქნება, ის რელსებზე დაწვება. ახლა, როდესაც დავდივარ რუსეთის სხვადასხვა ადგილებში, მეკითხებიან ხოლმე: „რატომ არ დაწვა ბორის ნიკოლოზის ძე რელსებზე?“ მე ვპასუხობ: „შეიძლება წვება კიდეც, მაგრამ მატარებლები აღარ დადიან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუბაზე ყრილობა იცვლება, ფიდელ კასტროს გაჩრდა...

ერთი ბოლოდროინდელი ანეკდოტი, რომელსაც, სადილობისას, კუბელები ერთმანეთს ყურში ეჩურჩულებიან: კასტრო სამოთხის კარიბჭეს მიადგა და გაოგნებულ წმინდა პეტრეს ეკითხება, დათოს ნება წარუდგეს მმაზეციერს სამი წუთით მაინც. „ო, იყოს ნება შენი – უცხადებს ბუზღუნით წმინდანი, – მხოლოდ, იცოდე, დროს არ გადაჭარბო“. ექვსი საათი გადის, ფიდელი კი ისევ ლაქლაქებს. მოციქული საათისკენ აპარებს თვალს. „O.K. პეტრე, – მიმართავს ღმერთი ერთგულ მოწაფეს, – მე თანახმა ვარ დაეამყარო კომუნიზმი სამოთხეში. ერთი ეს ვერ გამიგია, რატომ მთხოვს ეს კაცი ჩემს საკერძელში ჩაჯდომას?“

ზეცაა თუ მიწა, ფიდელი არ-ოდეს ღალატობს საკუთარ თავს. ხუთი წლის წინ ჩუმად მიიცვალა „უფროსი ძმა“ (საბჭოთა კავშირი), სამი თვე გავიდა ვატიკანში ვიზიტიდან („ეს იყო სასწაული“, – განაცხადა მაშინ ფიდელმა), კუბის პრეზიდენტი კი დღესაც მზადაა ეშმაკს შეეკრას ზავად, ოღონდ კი ხელიდან არ გაუსხლტეს აბსოლუტური ძალაუფლება, ცხოვრების ერთადერთი სწრაფვა და მიზანი.

მალეკონზე, ჰავანის სანაპიროზე, ათასობით ნახევრადშიშველი მეძავი ტურისტებისა და დოლარების მოხელეთებაში ეჯიბრება ერთმანეთს. იტალიელი და ესპანელი მამრების აღტაცებას საზღვარი არა აქვს. „ერთ ღამეში ჩემი მასწავლებლის სამი თვის ხელფასის ოდენას ვშოულობ, – გაგვეხდო ხუანიტა, სტუდენტი და თავისუფალ დროს, მეტწილად ღამით, jinetera („მოჯირითე“ – ასე უწოდებენ ამ ყაიდის ქალებს კუბაზე), – რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს ასეთ შემოსავალზე?“ არა და, რევოლუციას სხვა მეტი საგრაბახო არც ჰქონდა, თუ არა ის, რომ მან საბოლოოდ განკურნა კუბა ამ საშინელი სენისგან და გააჯანსაღა „ამერიკის ბორდელად“ წოდებული კუნძულის ჰაერი. კასტროს პრესა ხოტბას ასხამდა ამ „საგმირო ქმედებას“ და იქედნურად ლაპარაკობდა აზიურ ქვეყნებში მოდად ქცეულ „სექსუალურ ტურიზმზე“. „წვეროსნების“ (harliudus ") მიერ ძალაუფლების აღებიდან 38 წელი გავიდა და მეძავეები ისევ ისე, ურცხვად დაძრწიან ჰავანის ქუჩებში.

დოლარის ლეგალიზებამ საძირკველი გამოუთხარა „რევოლუციურ სისტემას“. დოლარის გარეშე ჰავანაში ფეხს ვერ გადადგამ. მაღაზია გინდა თუ რესტორანი, ტაქსი თუ ღამის კლუბი, – ყველგან დოლარს ითხოვენ. დედაქალაქიდან 272 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ სანტა-კლარაში ერნესტო „ჩე“ გევარას მემორიალია. ორი დოლარის საფასურად, შეიძლება, ბუნკერში შეხვიდე და თაყვანი სცე რევოლუციის ქრისტეს. გარეთ კი ყმაწვილები გელიან და კუნძულის ორ საუკეთესო ნაწარმს გთავაზობენ, – მსუქანბარძაყა გოგონებსა და მაგარ სიგარებს კუბას. ესოდენ დიდხანს ეგალიტარულ (თანასწორუფლებიან) ქვეყანას, დღეს სოციალური განხეთქილების ეპოქაში უხდება ცხოვრება: მკვლევართა აზრით, ჰავანაში მოსახლეობის 40 ან 60 პროცენტს თუ მიუწვდება ხელი დოლარებზე, ჰავანის გარეთ კი მხოლოდ 20%-ს დანარჩენ მოსახლეობას lihre-ით (სასურსათო წიგნაკი) უდგას სული, არის ფენა სახელმწიფო მოხელეებისა (თვიური ხელფასი – 20 დოლარი), რომელთაც მაიამში გადახვეწილი ნათესავები ამარაგებენ დოლარებით და წვრილფეხა მეწარმეებისა, რომელთაც საკუთარი უნარითა და ხელებით გააქვთ თავი. შავი ბაზარი, სადაც დატაცებული საქონლით ეჯრობენ, გაფურჩქვნის ხანაშია. „გრამმა“, ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი, გულისტკივილით წერს, რომ თამბაქოს მოსავლის 30% პლანტაციებიდან ფაბრიკისკენ მიმავალ გზაზე უჩინარდება.

ვის ვენდოთ? ამ ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის ელჩს, არცთუ ისე მტრულად განწყობილს კუბისადმი, რომელიც ამტკიცებს, რომ „რევოლუციამ ჭირი მოგვჭამა“, თუ ფიდელ კასტროს, რომელიც ჰავანელ კომუნისტებს დაყინებით უმეორებს, რომ ტურიზმი, ეკონომიკური ღიობა და დოლარის „განთავისუფლება“ მხოლოდ „ტაქტიკური მოთხოვნილებებია“, ხოლო „სტრატეგიულ მიზნად“ ისევ და ისევ სოციალიზმი რჩება? არც ერთია მართალი და არც მეორე. მტკიცე და თანამიმდევარი კასტრო, მიმიკრიის დიდოსტატია და ძალუძს ფეხი აუწყოს ვითარებათა ცვალებადობას. იგი მუდამ „ექსპერიმენტის ლოგიკას“ იყო აყოლილი. დიახ, კუბა თანახმაა მიიღოს ჩინეთის მიერ ბოძებული 1 მილიონი დოლარი, მაგრამ უარყოფს ეკონომიკის „ჩინურ მოდელს“. „ჩვენ ვერ დაეუშვებთ, რომ სოციალისტურ ნიადაგზე კუბელ მეწარმეთა კლასმა იხაროს“, – გვიცხადებს ახალგაზრდა ეკონომისტი, რომელსაც სამშობლოში „ლიბერალის“ სახელი აქვს დაგდებული. სახიფათო განცხადებაა, ხიფათის შემცველია თვით სახელმწიფოებრივი მიდგომაც. 200000 კუბელი, რომლებსაც ნება მიეცათ გაეხსნათ მცირე საწარმოები, სახელოსნოები ან რესტორნები, მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. კუბა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო კაპიტალიზმია. ქვეყანა ერთი დიდი ფირმაა, რომელსაც ადმინისტრაციული საბჭოს ნაცვლად მინისტრთა საბჭო მართავს, სახელმწიფო დაწესებულებებს კი მოუწოდებენ შექმნან ახალი შერეული საწარმოები უცხოელი პარტნიორების მოზიდვით და აწარმოონ „კონკურენტუნარიანი“ პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე გასატანად. ელადიმირის როკას, „ცნობილ დისიდენტს, ყოველივე უფრო მარტივად ესახება: „საქმე, უბრალოდ, ფეოდალური ყაიდის რეჟიმს ეხება. ყოველივე კასტროს ხელშია, ერთადერთი გამგებელი მისი საკუთარი ნებაა. პრეზიდენტი ესწრაფვის მუშტში მოიქცოს წარმოების საშუალებანი, ამას კი ჩინურ მოდელთან არავითარი კავშირი არა აქვს“. უცხოელებიც ეთანხმებიან ამ აზრს: ანანასის პლანტაციებიდან დაწყებული, ნავთობის წარმოებით დამთავრებული (ამაში ჟერარ დეპარდიეს წვლილიცაა), სასტუმროები თუ ნიკელის მაღაროები – ყოველივე კასტროს, lider maximo-ს (უმაღლესი ლიდერი) ხელშია, ყოველივე მის სიტყვას ემორჩილება. „ხელისუფლება აყირავებულ პირამიდას წააგავს“ – აცხადებს როკა. ფიდელი ყველაფერში ერევა, მის მახვილ თვალს უმნიშვნელო წვრილმანიც კი არ გამოეპარება. „მსხვილმანი და წვრილმანი ფიდელის საზრუნავია, დანარჩენს მინისტრებიც მიხედავენ“, – ირონიით გვეუბნება ერთი კუბელი დიპლომატი.

პანაცეად მიჩნეული ტურიზმი, დოლარების მოდინების უმთავრესი წყარო (მილიონი სტუმარი 1996 წელს) აშკარად წარმოაჩენს ხელისუფლების ცინიზმს. ვარადეროში, ზვეისა და „ოქროს ქვიშის“ ქალაქში, პოლიციამ 7000 მეძავი დააპატიმრა და ქალაქიდან გააძევა. ამას სასტუმროების მფლობელთა და ოჯახის წევრთა პროტესტების ტალღა მოყვა, რომელსაც ტურისტებმაც აუბეს მხარი. ჰავანა პროვინციებიდან გამოსულმა „ამორძალებმა“ აავსეს და დედაქალაქი „სექსუალური ტურიზმის“ პოლუსს დაამსგავსეს. „ხელისუფლებამ წამსვე მიიღო სათანადო ზომები, – გვიყვება სასტუმროს მესაკუთრე, – თუკი ვარადეროში ტურისტების რიცხვი შეთხელდა, „ღამის პეპლებს“ სასწრაფოდ უკან დააბრუნებენ“.

ეს ეკონომიკური მექანიზმი დიდი ვერაფერი შეილია. წელს, შეიძლება, ეკონომიკურმა ზრდამ 7% მიაღწიოს. მაგრამ 1990–93 წლებში იგი 35%-ით დაეცა. ფინანსური დეფიციტი სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. უფსკრულის ამოესებას მხოლოდ ტურიზმი ვერ შესძლებს. საბჭოური „ძმური დახმარებაც“ ისტორიას ჩაბარდა. 70 და 80-იან წლებში, კუბა სოციალისტური მეტროპოლიის შემწეობით ითქვამდა სულს: „პოლიტიკური გახსნილობა და გამჭვირვალობა“ ლიტონ სიტყვებად რჩება, კასტრო ვერასდროს გახდება გორბაჩოვი. „გახსნილობა? დიახ, ჩვენ ეს პროცესი 38 წლის წინ, რევოლუციასთან ერთად დავიწყეთ“, – ამაყად აცხადებს კუბის ლიდერი. უახლოეს ხანებში ცვლილებებს არც უნდა მოველოდეთ. „თავდაცვის კომიტეტები“ ხელისუფლების ფხიზელი და კბილალესილი მოდარაჯე ნაგაზებია. თითეული უბანი, თითოეული სახლი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშაა, რათა „კონტრრევოლუციურ გამოხდომებს“ გასაქანი არ მიეცეს. ოპოზიციონერებს მყისვე გადასახლებაში უკრავენ თავს, დისიდენტურ მოძრაობას კი არაორგანიზებული ხასიათი აქვს.

ამერიკელები საათს დასცქერიან, რეჟიმის დასასრულს ელიან და ხელს უშლიან ევროპელ თუ კანადელ ინვესტორებს, დააბანდონ სახსრები კუბის ეკონომიკაში. თავის მხრივ, მეორე დაპირისპირებული ძალა, კათოლიკური ეკლესია, კუბაზე რომის პაპის ვიზიტზე ამყარებდა მთელს იმედებს (1997 წლის დეკემბერი). ტოტალიტარული რეჟიმი კი ამერიკისა და ეკლესიის „დაწოლის“ მიუხედავად, თავს არხეინად გრძნობს. საინტერესოა, სანამდე?

ჟან-მიშელ ლეგეგბი

(„ექსპრესი“)

თარგმნა **გ.ეკიზაშვილმა**

უცხოეთი

„უკრაინა იქცა სამარცხვინო ქვეყნად“

უკრაინული ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიის“ ცნობით, 1997 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკაში გამოტანილია 73 სასიკვდილო განაჩენი, აღსრულებულია – 13. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 6 წლის მანძილზე სასჯელის უმაღლესი ზომა მოუსაჯეს 882 ადამიანს, დახვრიტეს – 612.

„საერთაშორისო ამნისტია“ აღნიშნავს, რომ „უკრაინა იქცა სამარცხვინო ქვეყნად. ის ერთადერთია ევროპის საბჭოში, რომელიც აგრძელებს წამების აღსრულებას“. (პრაიმ-ნიუსი)

დრო არ უნდა დაიხარჯოს უტოპიურ იდეაზე

„დრო არ უნდა დაიხარჯოს უტოპიურ იდეაზე იმის შესახებ, რომ ჩეჩნეთი რუსეთის სუბიექტია, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ რუსეთის კონსტიტუციაში ირიცხება ასეთი სუბიექტი. უნდა მოიძებნოს გამოსავალი ამ აქსიომებს შორის“, – განაცხადა რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ პირდაპირ ეთერში რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერმა რამაზან აბდულატიპოვმა. აბდულატიპოვი რუსეთსა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის სრულმასშტაბიანი შეთანხმების შემმუშავებელი რუსეთ-ჩეჩნეთის მოლაპარაკებების ფედერალური კომისიის წევრია.

„ჩვენ საზოგადოებრივი აზრი განვაწყვეთ „შესვლაზე“ ან „გამოსვლაზე“, თითქოს არ არსებობდეს თანამშრომლობის სხვა ფორმები. ამიტომ, ვემხრობი ელცინის მოსაზრებას – ეს ხანგრძლივი პროცესია და ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მშვიდობიანი პროცესი გაგრძელდეს. თუ ჩვენ თავიდანვე დავაყენეთ რაღაც ამოცანა, შესაძლოა, მოლაპარაკებები არც შედგეს“, – მიაჩნია რამაზან აბდულატიპოვს. (პრაიმ-ნიუსი)

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ღამით ეწვია აზერბაიჯანს

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, სამხრეთ კორეიდან და იაპონიიდან სამშობლოში დაბრუნებისას, გასული ღამით ოფიციალური ვიზიტით გაჩერდა აზერბაიჯანში, – აცნობეს პრაიმ-ნიუსს ბაქოდან.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ოთხი საათის განმავლობაში ისაუბრეს დახურულ კარს მიღმა აზერბაიჯანის ლიდერის ქალაქგარე რეზიდენციაში.

აზერბაიჯანელი ანალიტიკოსების აზრით, ამ შეხვედრას შესაძლოა იმპულსი მისცა აშშ-ში ვიზიტის დროს ჰეიდარ ალიევის შედეგიანმა მოლაპარაკებებმა ამერიკელ ებრაელთა სათვისტომოსთან.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრეს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროში, არ არის გამორიცხული, რომ 1998 წლის დასაწყისში ალიევი პირველად ეწვევა ოფიციალური ვიზიტით ისრაელს. (პრაიმ-ნიუსი)

●

28 აგვისტოს გამთენიის 3 სთ-ზე, ვაშლიჯვარის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს 18–22 წლის დაუდგენელი ქალის დამწვარი გვამი ძალადობის ნიშნებით. ამის შესახებ „იფრინდა“-ს შსს-ს პრეს-ცენტრში აცნობეს.

მიმდინარეობს გამოძიება. (იფრინდა)

●

შსს-ს პრეს-ცენტრის ცნობით, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი სამსახურისა და დიდუბის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს შპს „ჯოჯიკი“-ს ავტოტექმომსახურების თანამშრომელი, თბილისელი 23 წლის გივი აბულაძე, რომელსაც სამსახურის პირად კარადაში აღმოაჩნდა 90 ცალი 10 ლარიანი ყალბი კუპიურა. მან ორი ყალბი კუპიურის რეალიზაცია მოასწრო მცხეთის რაიონის სოფ. წილკანში მცხოვრებ ზაქრო ჭალელიშვილზე და დიდმელ კარინა თანეოსიანზე.

მიმდინარეობს გამოძიება.

პროკურატურას 15% ერგება

საქართველოში დასრულდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პირველი ეტაპი. პრივატიზებულია 10000-ზე მეტი წვრილი და მსხვილი საწარმო. პრივატიზაციის პროცესში ადგილი ჰქონდა დარღვევებს, რის შესახებაც აღინიშნა პროკურატურის სამოქალაქო სამართლის განყოფილების უფროსის მანანა ქურდაძის გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

ზესტაფონის რაიონში კონკურსის წესით უნდა გაყიდულიყო ზესტაფონის „ტექსერვისი“. მისი პირველადი კონკურსი არ შედგა. მ.ქურდაძის თქმით, არსებული კანონის „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ თანახმად, მეორადი კონკურსი პირველის ჩატარებიდან ერთი თვის შემდეგ უნდა შემდგარიყო, მაგრამ „ტექსერვისის“ ხელმძღვანელობამ კონკურსი ორი კვირის შემდეგ ჩაატარა, რაც მ.ქურდაძის განცხადებით კანონის უხეში დარღვევაა.

როგორც აღინიშნა, პროკურატურის მიერ საარბიტრაჟო და ქალაქის რაიონულ სასამართლოებში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციაში დარღვევის გამო, შეტანილია 10 სარჩელი. მისივე თქმით, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალიდან პროკურატურის მიერ ამოღებული თანხის 15% პროკურატურას ერგება. (იფრინდა)

თბილისშია მოქმედი თავმჯდომარე

წუხელ 21.30 საათზე თბილისში ჩამოვიდა ეუთოს თავმჯდომარე, დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ნილს ჰელვეგ პეტერსენი.

საქართველოს ხელმძღვანელობა აღნიშნავს ეუთოს შედეგიან საშუამავლო მისიას ქართულ–ოსური კონფლიქტის მოწესრიგებაში. თბილისში ეუთოს თავმჯდომარის ვიზიტი ემთხვევა საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტების განცხადებებს შესაძლო ახალი პირადი შეხვედრის შესახებ.

თბილისში არ გამორიცხავენ ეუთოს როლის გაზრდას აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში.

დღეს ჰელვეგ პეტერსენი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს, საგარეო საქმეთა მინისტრს, ირაკლი მენაღარიშვილს და პარლამენტის თავმჯდომარეს, ზურაბ ჟვანიას. შეხვედრების მსვლელობისას განიხილავენ რეგიონალური კონფლიქტების დარეგულირების პრობლემებს.

ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია, აგრეთვე, თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. თბილისიდან ნილს ჰელვეგ პეტერსენი დღეს 18.00 საათზე გაფრინდება. (პრაიმ–ნიუსი)

„ეიბიენ ამრო“ მზადაა თანამშრომლობისთვის

ევროპის ერთ–ერთი უდიდესი ბანკი „ეიბიენ ამრო“ მზადაა თანამშრომლოს საქართველოსთან. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს საქმიანი ვიზიტით ეწვია ჰოლანდიური ბანკის „ეიბიენ ამროს“ დელეგაცია, მისი ვიცე–პრეზიდენტის რეიდ პეინის ხელმძღვანელობით, რომელმაც საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგიის მნიშვნელოვანი დეტალები და მიმართულებები წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს.

პროექტი საწყის ეტაპზე ითვალისწინებს საქართველოს საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგის ჩამოყალიბებას, რაშიც „ეიბიენ ამრო“ მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქვეყანას, რადგან მას უფასოდ მოემსახურება.

მეორე ეტაპი ითვალისწინებს საქართველოსათვის ხელშეწყობას, როგორც საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე გასვლაში, ასევე ფასიანი ქაღალდების შიდა ბაზრის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით, თბილისში გაიხსნება „ეიბიენ ამროს“ წარმომადგენლობა.

საქართველოს პრეზიდენტი მოწონებით შეხვდა ჰოლანდიელ ბანკირთა მიერ წარმოდგენილ ინიციატივას. (პრაიმ–ნიუსი)

ლარს სტაბილური კურსი უჭირავს

29 აგვისტოს თბილისის ბანკთაშორისი საავალუტო ბირჟაზე ამ თვეში უკანასკნელი ვაჭრობა შედგა.

ვაჭრობაზე დაფიქსირდა ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, რომელმაც 1 აშშ დოლარზე 1,292 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ლარის კურსი არ შეცვლილა 25 აგვისტოდან, რაც ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებით აიხსნება. თვის დასაწყისში დოლარის კურსის აწევის შემდეგ ეროვნულმა ბანკმა მოახერხა მისი შეჩერება და დღეს ლარს აშშ დოლარის მიმართ სტაბილური კურსი უჭირავს.

29 აგვისტოს ვაჭრობაში მონაწილეობდა 6 ბანკი. დღეს გაიყიდა 215 ათასი აშშ დოლარი. სულ, მთელი კვირის განმავლობაში გაიყიდა 2 მლნ. 561 ათასი აშშ დოლარი. (პრაიმ–ნიუსი)

იხილავენ კანონპროექტს

გუშინ პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების დაცვის კომიტეტის მიერ ჩატარებული სხდომა მიეძღვნა სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ კანონპროექტის განხილვას, რომელიც საშემოდგომო სესიაზე განსახილველად უნდა წარადგინონ.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, კოდექსი რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია, მოსახლეობის ინტერესებს ეხება და ამიტომ ნებისმიერი ხარვეზი ტრაგიკულად იმოქმედებს მათზე. კოდექსის ავტორთა თქმით, საჭირო იყო მაქსიმალურად ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება და ამ სუბიექტური ფაქტორების გამორიცხვა, რაც ხელს შეუშლის სამართლებრივ ქმედებებს.

ავტორთა თქმით, სისხლის სამართლის კოდექსის უმთავრესი მიზანია, არ დაუშვან ზნეობრივად სამართლიანი ქმედების დანაშაულად გამოცხადება.

კოდექსის ავტორთა განცხადებით, მათ გამოიყენეს დასავლეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება. კოდექსის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის გიორგი ტყეშელაძის აზრით, პროექტში მეტწილად რუსეთის გამოცდილებაა გაზიარებული. მისივე ინფორმაციით, პროექტზე პროფესიონალები მუშაობდნენ და მან არაერთი ექსპერტიზა გაიარა. მასში შესაძლოა შეცდომებიც იყოს, ამიტომ პარლამენტის პლენალური სხდომების დაწყებამდე საჭიროა კოდექსის საჯარო განხილვები. (ბეა)

შესაძლოა მოსამართლის კანდიდატურები პარლამენტმა დაამტკიცოს

ორი მოსამართლის – გიორგი გასიევის და ალექსანდრე გაზაევის კანდიდატურებს სამხრეთ ოსეთის უზენაეს სასამართლოში დაამტკიცებს სამხრეთ ოსეთის პარლამენტის პრეზიდიუმი.

5 სექტემბერს დაგეგმილმა პარლამენტის სესიამ საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი.

სულ სამხრეთ ოსეთის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში, რომელსაც ანატოლი პლიევი ხელმძღვანელობს, 6 მოსამართლეა. 2 ეაკანსია გაჩნდა მოსამართლეების სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით. (პრაიმ–ნიუსი)

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

ბინები

სასწრაფოდ იყიდება 600 კვ.მ მიწის ნაკვეთი კვერეთში. ფასი 2000$ ტელ. 29–09–09

იყიდება კერძო ეზოიანი ბინა მეტრო „ისანთან“ დოდაშვილის ქ–№34. ტელ. 74–64–10 იკითხეთ მალხაზი. ფასი შეთანხმებით.

იყიდება სამსართულიანი სახლი სოფელ გლდანში, ეზოში საცურაო აუზით, ორსართულიანი ავტოფარეხით. ფასი 8000$ ტელ. 95–30–47

იყიდება ერთი ოთახი დახურული შუშაბანდით. საერთო ფართი 23 კვ.მ, ტელეფონით, სარდაფით. იტალიური ეზოს III სართ. მეტრო „მარჯანიშვილთან“. ფასი შეთანხმებით. ტელ. 23–09–91

იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული, გარემონტებული ბინა სოლოლაკში. ტელეფონით, მაღალი ჭერით, შესასვლელი იტალიური ეზოდან. მაღალ პირველ სართულზე. ფასი 9000$ ტელ. 32–03–48 ან 32–16–76

იყიდება 2 ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე. იტალიურ ეზოში, დადიანის 13. ფასი 13000 დოლარი. ტელ. 22–23–32 მანანა

იყიდება ფართი 100 კვ.მ რუსთაველის 34, არკაში. ტელ. 22–23–32 მანანა

იყიდება სამოთახიანი სუფთა ბინა ან იცვლება საბურთალოზე, გოთუას ქუჩაზე. რკინის კარებით, ტელეფონით, ღია აივნით, მანქანის სადგომით. 25000$ ტელ. 22–07–97

ავტომანქანა

იყიდება „ბმვ–728“. 1985 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში. ფასი 2400 დოლარი. ტელ. 23–70–02 აკაკი

ვამზადებ

ვამზადებ მათემატიკაში, ბინაზე მისვლით. ტელ. 99–02–03 ნატო

მოვამზადებ ნებისმიერი ასაკის სკოლის მოსწავლეს მათემატიკაში. ტელ. 66–23–68

ვასწავლი 3 თვეში სასაუბრო ინგლისურს საქმიანი ურთიერთობისათვის ყველაზე მარტივი და გამართლებული მეთოდით. შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. ფასი 1 საათი – 7 ლარი. ტელ. 23–70–02 აკაკი

სხვადასხვა

იყიდება ასაწყობი სამოთახიანი ფინური სახლი. ფასი 3000$ ტელ. 95–30–47

იყიდება პიანინო „როსტოვ–დონი“. ფასი 200 დოლარი. აკორდეონი „ველტმეისტერი“ (48 ბასიანი) ახალი, ფასი 100$ ცომის გასაბრტყელებელი დანადგარი. ფასი 250$ ტელ. 29–09–09

იყიდება 20 მილიმეტრიანი ფანერი, 3 კვ.მ, ფასი 1 ცალის 30 ლარი. ტელ. 22–23–32 მანანა

საცხოვრებელი ბინებისა და ოფისებისათვის ვამზადებ ნებისმიერი ფორმისა და ფერის აბაჟურებს. ტელ. 99–02–73

ქირავდება

ვაქირავებ 2 ოთახს, ტელეფონით, აუცილებელი ავეჯით ნუცუბიძის III მკ/რ–ში, ყოფილ რაიკომთან. ფასი 100$ ტელ. 34–68–81

მერი ესებუას ხსოვნას

მამიდა, უშენოდ განელო დარდით დამძიმებულმა ერთმა წელიწადმა, ტკივილამდე სულის შემძვრელია ის, რასაც უშენობა ჰქვია... ცრემლები, მხოლოდ ცრემლები და სევდა.

ხუთი მძიმე, ტანჯვის წელი ვუკაცურად გადაიტანე, ჯერ სოხუმის, მერე გალის დაკარგვა, იქნებ, შენ ყველაზე მეტად გინდოდა სიცოცხლე და ბედნიერება, მაგრამ ტანჯვით და მწარედ შეხედი სიკვდილს.

„რას ფიქრობდი, როცა თავს იმეტებდი,
იქნებ შველა გჭირდებოდა ვინმესი
რად არ მითხარ, რატომ არ დამიბარე
შენი თავი ნუთუ მარტო ჩათვალე.
გული მტკივა, ვერ გიშველე, ვერ გტირი
ცხოვრებაში ალბათ ვერ მოვინელებ,
ცრემლი მახრჩობს, გული სკდება, მიკვდება,
სიკვდილამდე მე ეს დარდად შიმყვება.

შენ ხომ ზუგდიდი გიცნობდა, იქ წლების მანძილზე მუშაობდი კომკავშირის მდივნად, პიონერთა სასახლის დირექტორად, სკოლის სასწ. ნაწილის გამგედ.

ისე წახვედი ამ ქვეყნიდან, რომ შენმა ქალაქმა, სადაც მოღვაწეობდი და ცხოვრების ყველაზე ლამაზი წლები გაატარე, შენმა მეგობრებმა, კოლეგებმა, ვერც კი მოუსამძიმრეს შენს მეუღლეს და საყვარელ შვილს.

შენი საფლავი ხომ უცხო ქალაქშია. ნათქვამია: ყველაფერი უფლის ნებაა. ვიცით, რომ ეს ასეა, მაგრამ რა ეუყოთ ტკივილად ქცეულ მონატრებას, რა ვქნათ, რომ ასე ძალიან გვაკლია შენი სითბო და ალერსი, განსაკუთრებით შენს ერთადერთ შვილს თათიას. მას ხომ ყველაზე მეტად ახლა სჭირდებოდა შენი თანადგომა.

ამიერიდან შენი სახელი დაუვიწყარი იქნება და მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

შენი ბოჩა და ნატო ესებუები



მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო მეთოდური ცენტრი „მზიური“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში

მიიღებიან VI–XI კლასების მოსწავლეები
განცხადებები მიიღება 11 სექტემბრამდე
მისამართი: იჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (ყოფილ „მზიურის“ ტერიტორია) ტელ: 29–48–60, 29–48–61, 23–53–17

კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო–მეთოდური ცენტრი „მზიური“ ბიჭვინთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში

- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

მისამართი: იჭავჭავაძის I ჩიხი, №37
(„მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)
ტელ: 29–48–61, 23–53–17, 29–48–69 ფაქსი: 29–49–61

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ: 93–18–41

ლატარია ყველასთვის

29 აგვისტოს გამართულ 34-ე ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი – 103708;	80 ლარი – *60638;
1000 ლარი – 332979;	80 ლარი – *31810;
900 ლარი – 575133;	70 ლარი – *11094;
800 ლარი – 170342;	70 ლარი – *42812;
700 ლარი – 336853;	60 ლარი – *64769;
600 ლარი – 299348;	60 ლარი – *79684;
500 ლარი – 528244;	50 ლარი – *71107;
500 ლარი – 199743;	50 ლარი – *08638;
400 ლარი – 486422;	40 ლარი – *17761;
400 ლარი – 498898;	40 ლარი – *71020;
300 ლარი – 216256;	30 ლარი – *20349;
300 ლარი – 288854;	30 ლარი – *13454;
200 ლარი – 153678;	25 ლარი – **4843;
200 ლარი – 113962;	20 ლარი – **5654;
100 ლარი – 204870;	10 ლარი – ***303;
100 ლარი – 539078;	10 ლარი – ***105;
100 ლარი – 115962;	10 ლარი – ***747;
100 ლარი – 135892;	1 ლარი – ***979;
100 ლარი – 179349;	1 ლარი – ***708;
90 ლარი – *08876;	1 ლარი – ***133;
90 ლარი – *44303;	1 ბილეთი – *****2.

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

1997 წლის **34**-ე ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **8054; 6185:** გათამაშებაზე შეუძლიათ 5 სექტემბერს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

თურმე პრეზიდენტიც სვამს ლუდით ერთ სადღეგრძელოს

ვის სადღეგრძელოს სვამენ ლუდით თბილისელები?

ჯერ კიდევ ცხელა თბილისში. ჯერ კიდევ შეიძლება ლუდის საშუალებით თერმომეტრის წითელი ხაზის დაბლა დაწევა. სვამენ, ჯანმრთელობას და ბედნიერებას უსურვებენ ლუდით მავანს, მთავრობას, მის ცენტრალურ თუ პერიფერიულ აპარატს, ცხოვრების ამრეველს, ეშმაკს, კუდიან დედაბერს, სიდედრს (სიმამრებს – არა!) და კიდევ ათას სხვა რამეს, ჯანდაბას და დოზანას.

ჰოდა, დავდევდით ზაფხულის ცხელ დღეს თბილისელებს და იმას ვეკითხებოდით: რა სადღეგრძელოებს სვამენ ლუდით. ამ სფეროში, ისევე, როგორც სხვა დანარჩენში, ჩვენმა ხუთთასიანმა პრეზიდენტმა პირველობა არავის დაუთმო (37%). მან წარმატებით გადალახა ხუთპროცენტიანი ბარიერი და მთავრობის შემადგენლობას უყრის თავს. როგორც გამოჩნდა, პოლიტიკა საყვარელი თემაა ლუდის მოყვარულთათვის. პირველ ჯენტლმენთან ახლოსაც ვერ მივლენ პირველი მინისტრი (10%), ცემის მინისტრი (13%), კანონის გამოყენებით გაღლეტვის მინისტრი (8%), თეთრხალათიანი მინისტრი (10%), სწავლის მინისტრი (12%), შუქის მინისტრი (9%).

თუ უწყებრივი თვალსაზრისით გადავხედავთ გამოკითხვის შედეგებს, ამ მიმართებით ძველებურად პოლიციელები ლიდერობენ (41%). მაგრამ გამოკითხვის შედეგები არ იძლევა იმის საშუალებას, ეს პროცენტები ზოგადად ყველას მივაკუთვნოთ. მათში, როგორც ამბობენ, „ლო... ბოდიში, „ძაღლის წილი“ საგზაო პოლიციას ეკუთვნის (33%), მეორე საპრიზო ადგილი და თბილისელების „ლოცვა-კურთხევა“ „ცემის პოლიციამ“ მიისაკუთრა (25%). ამ სამეულს აგვირგვინებს საკუთრების დაცვის პოლიცია, რომლის მზარდი პოპულარობა საზღვრებსა და ავტორიტეტებს არ ცნობს (22%).

უპირობო ჯანმრთელობას უსურვებენ პარლამენტის მთელ შემადგენლობას, ქიშმიშების გამორჩევის გარეშე (15%). სასიამოვნო სიურპრიზი იყო, რომ მათი მოძღვარი ამ საკითხში არ ფიგურირებს.



დასმული იყო ორი კითხვა: 1. ვის სადღეგრძელოს სვამენ თბილისელები ლუდით? 2. თქვენ რომელი სადღეგრძელო მოგწონთ? ასე რომ, გამართლებული იქნება, ოფიციალური ნაწილიდან საზეიმო ნაწილზე გადავიდეთ და ახლა სადღეგრძელოების შემოქმედებითი მხარე განვიხილოთ.

რაკი დღეს ყველენ პოპულარულია ჰიტ-პარადების თემა, ჩვენც გადავუხდით ხარკს ინფორმაციის მოწოდების ამ სალალობო ფორმას. მაშ ასე...

მეხუთე ადგილზე გავიდა ყველასთვის მშობლიური სადღეგრძელო იმ კაცის შესახებ, რომელმაც ახალ წელს დახეებრებულ ინდაურს თაბაშირში ჩაუსვა ფეხი.

მეოთხე ადგილი და პრიზი „ყველაზე გულადი თბილისელი“ ერგო იმას, ვინც პირადად, მოსალოდნელი გინების კორიანტელის გაცნობიერებით ხელს აჭერს ღილაკს (ატომურს – არა!), შუქის გამომრთველს.

დღევანდელი ცხოვრებისათვის! აქტუალური სადღეგრძელოა: „იმ კაცს გაუმარჯოს, შობას ღორს სარდაფში რომ დაკლავს, თანაც აირწინაღს ჩამოაცმევს, ე მანდ მეზობლებმა ხმა არ გაიგონ, მწვადებზე არ დამეცნენო“. ამ სადღეგრძელომ სამართლიანად დაიკავა მესამე ადგილი.

მეორე ადგილზე გასული სადღეგრძელო წარმოშობით კახურია და გვიყვარს, რატომ პირველ ადგილზე არ არის. მაშ ასე, მეორე ადგილი: „იმ პოვარ და ბუფეტიკ გაუმარჯოი, საკმლი საკმელად პერერივზე სახლში რო მიდიან“-ო.

და ჩვენი ჰიტ-პარადის კულმინაციური წერტილიიი!... ვოუუ! პირველი ადგილი, დაბრძანდით, რათა არ წაიკლეთ; „ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ცოლი ცხვირს რომ დააკმინებს, ის კი მიაძახებს (ქალალდი ყველაფერს იტანს. ჩვენც ვისარგებლეთ მის ამ თვისებით და ეკსპრესიას არ დავუკარგავთ ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტს, რაზედაც ბოდიშს კი გიხდით)... ამაზე გრძელი“-ო!

დაბოლოს, ვის ადღეგრძელებენ თვითონ ზემოთმოხსენებული სადღეგრძელოების ადრესატები? ყველაზე ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ საგზაო პოლიციის ერთმა მხიარულმა წარმომადგენელმა გვითხრა: „ლუდის რა მოგახსენოთ, მაგრამ არყით ალალად ვსვამთ თათრების სადღეგრძელოს (ყველა ვარიანტში გადამხდელები არიან, რაღა).

მეორემ უფრო დააკონკრეტა: „მაგას რა კითხვა უნდა... (თუ მის ნათქვამს სწორ მისამართს მივცემთ, იმათ გულისხმობდა, ვისაც რუსეთში „ახალ რუსებს“ ეძახიან. მაშ პირობითად ჩვენთან „ახალი ქართველები“ უნდა ერქვათ)... ფული აქვთ, მაინც ათასნაირ „ქსივებს“ დაათრევენ, მილიონ ნაცნობს იხმარებენ და მთელი საათი გვეკაპრებიან“.

თურმე პრეზიდენტიც სვამს ლუდით ერთ სადღეგრძელოს. რომელს? – აბა, მაგას როგორ გეტყვით, ხალხნო!

პაპა მანაულაშვილი

კროსვორდი



თარაზულად: 4. სქელი მინის წყალგაუვალი სარქველი გემზე; 7. სიტყვის საშუალებით აზრის ხატოვნად გამოსახვა; 8. ყაზახური ხალხური ორსიმიანი საკრავი; 9. სომხეთის დედაქალაქი; 10. ათლეტიზმის მიმდევარი; 13. უკრაინის საავტომობილო ფირმა; 15. ბამბის ან ხელოვნური ბოჭკოს ნაგრეხი ძაფი; 17. ატომთა ჯგუფი, რომელიც ერთი ნაერთიდან მეორეში უცვლელად გადადის; 18. საბანკო ბილეთი, რომელიც ეწევა ფულის მაგივრობას; 21. მაჰმადიანური სახელმწიფოს მეთაური საერო და სასულიერო საქმეში; 23. ხელსაწყო, ზეჩქარული სიხშირის ელექტრომაგნიტურ რხევათა წარმოსაქმნელად; 24. აღმოსავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდება; 25. მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე; 27. რაიმე სრულყოფის განსახიერება; 28. ტროპიკული ხილი; 29. ნივთიერება, რომელიც ხოცავს ბაქტერიებს.

შვეულად: 1. წინასწარ მოცემული რითმებით იუმორისტული ლექსის შეთხზვა; 2. ძველებური იშვიათი ნივთი; 3. დუმფარასებრთა ოჯახის წყლის მცენარე; 5. ერთ-ერთი საზღვაო პორტი ინდოეთში; 6. დაწესებულება, სადაც ინახება ძველი წერილობითი ძეგლები და საბუთები; 11. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობასაც ადგენენ მტკიცების გზით; 12. ყოფილ პრუსიაში – მსხვილი მიწათმფლობელი აზნაური, მემამულე; 13. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 14. ქიმიური ელემენტი; 15. ვისიმე ან რისიმე გაღმერთება; 16. სახელმწიფო აზიაში; 19. ფოლადის სფერული კამერა, რომლითაც ჩადიან ზღვაში სიღრმეების გამოსაკვლევად; 20. მოვლენათა კვლევის, შეცნობის ხერხი; 22. ნ.ბარათაშვილის ნაწარმოები; 25. საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს ერთ-ერთი მუშაკი; 26. ქვეყანა ევროპაში.

თამუნა მაჭავარიანი

წინა ნომრის პასუხები

თარაზულად: 3. პროტესტანტი; 8. კიური; 9. შილერი; 10. რალი; 13. ერი; 14. ელექტრონი; 15. ობი; 18. ანექსია; 20. ემულსია; 23. მონბლანი; 24. ინტიმური; 26. ალი; 27. სინგაპური; 28. ადა; 33. დიდრო; 34. საცერი; 35. მაია; 36. ალექსანდრია.

შვეულად: 1. ატაშე; 2. ჰაერი; 3. პორტი; 4. სოლისტი; 5. იორკი; 6. ნიგერია; 7. ალგებრა; 11. ილუსტრაცია; 12. ინკუბატორი; 16. შენობა; 17. ესკიმო; 19. აუული; 20. ეჭვი; 21. კოალიცია; 22. ერუდიცია; 25. კასაცია; 29. კორეა; 30. რუმბა; 31. ფსიქე; 32. ირიდა.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გელა ებანოიძე

ბელეთონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444